პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1981 წელი
შაბათი
9 მაისი
№ 107 (18049)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საიუბილეო შრომის ვახტზე

საქართველოს კომპარტიის შექმნისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ერთნაირი შემართებით იღვწიან ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მშრომელები. მრავალმა მათგანმა მიაღწია მომდინარე წლისა და მომავალი წლის მიჯნებს.

თბილისი

კონიაკის კომბინატი ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა რესპუბლიკაში. მისი პროდუქცია მსოფლიოს 18 ქვეყანაში იგზავნება. კომბინატის კოლექტივმა გასული ხუთწლედი ოთხ წელიწადნახევარში დაამთავრა და წარმატებით შეუდგა მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა შესრულებას. მან ოთხ თვეში 29 მილიონ 982 ათასი მანეთის ნაცვლად 30 მილიონ 319 მანეთის მოლიანი პროდუქცია გამოუშვა და გეგმას 337 ათასი მანეთით გადაჭარბა.

კომბინატში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება საქართველოს გასაბჭოებისა და საქართველოს კომპარტიის მესამოცე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

საწარმოს კოლექტივმა ვალდებულება აიღო 23 მაისისათვის 1000 დეკალიტრი ზეგეგმითი კონიაკი გამოუშვას.

ტყიბული

ორჯონიკიძის სახელობის შახტის (დირექტორი — უ. გურეშიძე) კოლექტივმა ვადამდე შეასრულა ეპერგეტიკული ქვანახშირის ამოღებისა და რეალიზაციის ოთხი თვის სახელმწიფო გეგმა. მომხმარებელს უკვე გაეგზავნა სამი ათას ტონამდე ზეგეგმითი საბობი.

ახლა შახტის ბევრი კომპლექსური ბრიგადა შრომობს დევიზით: „ხუთი დღის დავალება — ოთხ დღეში!“ კომუნისტური შრომის ის ბრიგადები, რომლებსაც ე. სვანიძე და გ. ღურბელაშვილი უძღვანან სათავეში, წლის მეორე ნახევრის ანგარიშში იძლევიან ქვანახშირს. გრაფიკის დიდი გასწრებით შრომობენ ნოვატორი მეშახტეები თ. კუბლაშვილი, ლ. გაბელაშვილი, რ. ცნობილაძე, რ. ბრეგაძე და სხვები.

აქ საბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომპარტიის მესამოცე წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების გადამწყვეტი ეტაპი დაიწყო.

დღესასწაულზე აჭარაში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი პ. გ. გილაშვილი, რომლებიც აჭარაში იმყოფებიან ავტონომიურ რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავთან დაკავშირებით, ეწვივნენ ჩვენს ქვეყანაში უდიდეს ბათუმის ჰიდრომაგისტრალური მეთოდით უხეში საკვების დამამუშავებელ საწარმოს, რომელიც გასული წლის დამლევს ამოქმედდა.

ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე და პ. გ. გილაშვილი, რომლებსაც ახლდნენ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. პაპუნიძე, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დ. დ. დიასამიძე, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. გ. უნგიაძე გაეცნენ უნიკალურ საკვებდამამუშავებელ საწარმოს, რომელმაც დიდი როლი უნდა შეასრულოს აჭარის მეცხოველეობის შემდგომ აღმავლობაში.

ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე და პ. გ. გილაშვილი ეწვივნენ აჭარის მხატვრთა კავშირის საგამოფენო დარბაზს, სადაც დაათვალიერეს ავტონომიური რესპუბლიკის ფუნჯისა და საპრეზიდიუმოს ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავს ეძღვნება.

შემდეგ სტუმრები გაემართნენ ბათუმის ზღვისპირა პარკში, სადაც მოეწყო თეატრალიზებული წარმოდგენა. (საინფორმი).

წლისთავის გამო

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ნ. ა. ტიხონოვმა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ გუსტავ ჰუსაკს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ამხანაგ ლუბომირ შტროუგალს გაუგზავნეს მისასალმებელი დეპეშა ეროვნული დღესასწაულის — ფაშისტ დამპყრობთაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 36 წლისთავის გამო.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ნ. ა. ტიხონოვმა მოძმე ჩეხოსლოვაკიის ყველა მშრომელს უსურვეს ბედნიერება და აყვავება, ახალი წარმატებები განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში. (საკდესი).

ორბიტაზე მუშაობა გრძელდება

ფრენის მართვის ცენტრი, 8 მაისი. (საკდესი). მერვე კვირა მიიწურა, რაც ვლადიმერ კოვალიონოკი და ვიქტორ სავინიხი დაფრინავენ „სალუტ-6“ — „სოიუზ ტ-4“ ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსით.

დღეს სარეგლამენტო ღონისძიებათა გეგმის შესაბამისად სადგურზე კოსმონავტებმა მოაწყვეს „სალუტ-6“-ის ცალკეული სისტემების შემოწმება და კონტროლი, დაშალეს ერთ-ერთი პულტი და მოამზადეს დედამიწაზე დასაბრუნებლად. ნაშუადღევს ეკიპაჟი შეასრულებს პროფილაქტიკურ სამუშაოს ბსტ-6 მ სუბმილიმეტრიანი ტელესკოპის საცავებელ სისტემაზე.

საღამოს დაიწყება მორიგი ტექნოლოგიური ექსპერიმენტი დანადგარ „შეხადნობზე“, რომლის მიზანია უწონობის პირობებში რამდენიმე ნიმუშის ოპტიკური მასალის მიღება.

ხვალ ვლადიმერ კოვალიონოკსა და ვიქტორ სავინიხს დასვენების დღე აქვთ. ეკიპაჟი დაალაგებს სადგურის სათავსებს, შეასრულებს ფიზიკურ ვარჯიშს, დაისვენებს. კავშირის სატელევიზიო სეანსების დროს კოსმონავტები შეხვდებიან ოჯახებს.

7 მაისს „სოიუზ ტ-4“ ხომალდის ძრავის მეშვეობით მოაწყო ორბიტული კომპლექსის მოძრაობის ტრაექტორიის კორექცია. კორექციის შემდეგ მისი ორბიტის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 367 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 339 კილომეტრი;

— გარშემოვლის პერიოდი — 91,3 წუთი;

— დახრილობა — 51,6 გრადუსი.

ტელემეტრიული გაზომვების მონაცემებისა და ორბიტიდან მიღებული მოხსენებების თანახმად „სალუტ-6“ — „სოიუზ ტ-4“ სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს.

ორივე კოსმონავტი თავს კარგად გრძნობს.

მაისი დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების დღესასწაულია!

არმიისა და ხალხის დიადი გმირობა

1945-1981

ამ წელი აშორებს კაცობრიობას იმ დღიდან, როცა ანტიფაშისტური კოალიციის ქვეყნების ერთიანებული მეცადინეობითა და საბჭოთა კავშირის გადამწყვეტი მოქმედებით განადგურდა ფაშისტური გერმანია. მაღლიერ თანამოძმეთა მეხსიერებაში სამუდამოდ ჩაბეჭდა საბჭოთა ადამიანების გმირობა. „ჩვენი გამარჯვება, — ამბობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი თავის წიგნში „მცირე მიწა“, — ეს არის მაღალი ფასი კაცობრობის ისტორიაში. ეს ცხადყო სოციალისტური სამშობლოს სიდიადე, გვიჩვენა კომუნისტური იდეების ყოვლისშემძლეობა, მოგვცა თავდადებისა და ბედნიერების საოცარი ნიმუშები...“

დიდ სამამულო ომში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღესასწაულს საბჭოთა ხალხი ეგებება მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომელიც გამოწვეულია სკკპ XXVI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით. ეს ღირსშესანიშნავ თარიღს საბჭოთა ადამიანები შეხვდნენ უდიდესი მიღწევებით კომუნისტური საზოგადოების მშენებლობასა და ფეოდალიზმის, დემოკრატიისა და ფეოდალიზმის ელემენტების ელიმინაციისათვის ბრძოლაში. დიდად აფასებენ რა ჩვენი ქვეყნის მიღწევებს მშვიდობიან კომუნისტურ აღმშენებლობაში და ხელმძღვანელობენ დიდებული პერსპექტივებით, საბჭოთა ადამიანებს კარგად ეცოდინებათ, რომ ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა დიდ სამამულო ომში მსოფლიო იმპერიალიზმის დამარცხებულ რაზმზე — ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა კავშირისა და მისი შეიარაღებული ძალების გამარჯვების მეოხებით.

ბოდვილი როდი იყო ჩვენთვის ეს დიდი გამარჯვება, მძიმეა ის გზა, რომელიც არმიამ და ხალხმა განვლეს ომის 1418 დღისა და ღამის განმავლობაში. დღეს, როცა თვალს ადევნებენ დიდი სამამულო ომის ეპიზოდებს, საბჭოთა ადამიანები კვლავ და კვლავ აღტაცებული რჩებიან ბრესტის, ლენინგრადის, კიევის, ოდესის, სევასტოპოლის, ქერჩის, ნოვოროსიისკის, მინსკის დამცველთა, მოსკოვის, სტალინგრადის, ჩრდილოეთ კავკასიის, კურსკის რკალის, 1944-1945 წლების დამამთავრებელი ოპერაციების მონაწილეთა ვაჟკაცობით, სიმტკიცითა და გმირობით. დიდი სამამულო ომის უდიდესი ბრძოლების გვერდით დგას კავკასიისათვის ბრძოლაც, რომელმაც 16 თვეს გასტანა. საშიშროების ქვეშ მრავალი უამს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მშრომელები ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხებთან ერთად კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდნენ ლენინური პარტიის გარშემო.

გმირობისა და ვაჟკაცობისათვის ამერკავკასიის ფრონტის ათიათასობით მეომარს მიენიჭა მთავრობის ჯილდოები, ხოლო 126 მეომარ-

გენერალ-პოლკოვნიკი
ო. თ. კულიშევი,
ამიერკავკასიის ფრონტელდრო-შოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი

●●

რი საბჭოთა კავშირის გმირი გახდა.

„ჩვენი მეომრების გმირობა, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ისევე უძლეველი გამოდგა, როგორც კავკასიონის მწვერვალები“.

ამ გმირობის მკაფიო მაგალითი იყო ლეგენდარული „მცირე მიწის“ დაცვა. აქ სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძოდნენ მე-18 არმიის მეომრები, რომელსაც სარდლობდა გენერალი კ. კ. ლესელიძე, ხოლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი იყო პოლკოვნიკი ლ. ი. ბრეჟნევი. „იგი მართლაც რომ „მცირეა“, — წერს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, — 80 კვადრატულ კილომეტრზე ნაკლები, მაგრამ იგი დიდია, როგორც შეიძლება დიდი გახდეს ერთი გოჯი მიწა, როცა იგი მორწყულია გმირთა სისხლით“.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირისა და მისი შეიარაღებული ძალების გამარჯვება მრისხანე ბაფრთხილებაა იმპერიალისტური აგრესორებისათვის, ისტორიის მკაცრი და დაუნდობელი გაკვეთილია. მან უალრესად დამაჯერებლად დაადასტურა, რომ მსოფლიოში არ არიან ძალები, რომლებსაც შეეძლოთ სოციალიზმის მოსპობა, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეალების, სოციალისტური სამშობლოს ერთგული, ლენინური პარტიის გარშემო შეკავშირებული ხალხის დაჩოქება.

ფაშიზმზე გამარჯვებამ ჩვენს ხალხს შესაძლებლობა მისცა არა მარტო უმოკლეს ვადებში მოეშუშებინა ომის ჭრილობები, არამედ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მიჯნებზეც გახულიყო. საბჭოთა ადამიანები ოპტიმიზმით იყურებიან წინ, მათ მტკიცედ სწამთ ვ. ი. ლენინის უკვდავი იდეების გამარჯვება.

მაგრამ დასავლეთის აგრესიულ წრეებს არ მოსწონთ მსოფლიოში მიმდინარე პოზიტიური პროცესები. „ავანტიურიზმი, იმისათვის მზადყოფნა, რომ თავიანთ ვიწრო ანგარებათს მიზნებს ანაცვალონ კაცობრიობის საარსებო ინტერესები, — ხაზგასმით აღნიშნა სკკპ XXVI ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — აი, რა ვლინდება განსაკუთრებით მკაფიოდ იმპერიალიზმის ყველაზე აგრესიული წრეების პოლიტიკაში“. ისინი დაადგნენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ძირის გამოთხრის, გამალებული შეიარაღების დაჩქარების კურსს, ახორციელებენ მუქარისა და სხვა ქვეყნების საქმეებში ჩარევის, ეროვნულ-განმათავისუფლებელ ელ. ი. ბრძოლის ჩახშობის პოლიტიკას. ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიულობის ზრდა ნათლად გამოვლინდა ისეთი საგარეო-პოლიტიკური და სამხედრო აქციებითაც, როგორიც არის დაძაბულობის კერების გაჩენა პლანეტის მთელ რიგ რაიონებში, სწრაფი რეაგირების ძალების დაჩქარებული შექმნა მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში, მათ შორის ახლო აღმოსავლეთშიც, ჩვენი სამშობლოს სამხრეთ საზღვრების უშუალო სიახლოვეს, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ყოფნის ზრდა.

განვლილი ომის გაკვეთილები, შექმნილი საერთაშორისო ვითარება გვავალებს ფაქიზ მშრალად ვიქონიოთ, მუდამ ფხიზლად ვიყოთ, ყოველნაირად განვამტკიცოთ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, ავამაღლოთ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახმრძოლო ძლიერება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXVI ყრილობისადმი ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „არ ყოფილა დღე, რომ პარტიასა და სახელმწიფოს მხედველობიდან გამორჩენოდეთ ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების, მისი შეიარაღებული ძალების განმტკიცების საკითხები“. უკანასკნელი წლების მანძილზე მთელ შეიარაღებულ ძალებში, მათ შორის ამერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარებშიც, კიდევ უფრო გაიზარდა ნაწილების ტექნიკური აღჭურვა, გადიდდა მათი საცეცხლე ძლიერება, დამკვრელური ძალა, ამაღლდა მანევრულობა და მობილურობა, გაუმჯობესდა მართვის საშუალებები. უფრო ეფექტიანად ვიყენებთ თანამედროვე სახეობის იარაღს.

ჩაებნენ რა სოციალისტურ შეჯიბრებაში, ამერკავკასიის მეომრები ბეჯითად სრულყოფენ მხედრულ ოსტატობას. ამას მკაფიოდ მოწმობს წვრთნის ზამთრის პერიოდის შედეგები.

წლითიწლობით მტკიცდება ოლქის მეომართა მეგობრობა საქართველოს შრომითს კოლექტივებთან, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებთან, პირადი შემადგენლობა ამაყობს იმ მაღალი შეფასებით, რომელიც სკკპ XXVI ყრილობამ მისცა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის, ყველა მშრომელის საქმიანობას პარტიის შესანიშნავ წინასწარსასახლობათა განხორციელებისათვის. ოლქის მეომრები დიდი კმაყოფილების გრძნობით შეხვდნენ იმასაც, რომ რესპუბლიკა ზედიზედ მერვედ დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. ამერკავკასიის მეომრები დიდ მიღწევებს უსურვებენ საბჭოთა საქართველოს მშრომელებს, რომლებიც ამ დღეებში აღნიშნავენ სახელოვან იუბილეს — რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და მისი კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავს. (საკინფორმი).

საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის თენგიზ სამსონაძის პლაკატი.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის ბრძანება

1981 წლის 9 მაისი *№ 125* *ქ. მოსკოვი*

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო პრაპორშჩიკებო და მიჩმანებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

ამხანაგო არმიისა და ფლოტის ვეტერანებო, დიდი სამამულო ომის მონაწილეებო!

დღეს ჩვენი სამშობლო, მოძმე სოციალისტური ქვეყნები, მთელი პროგრესული კაცობრიობა დღესასწაულობენ 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 36-ე წლისთავს. ჰიტლერელთა ურდოების განადგურების შედეგად ფაშისტურმა გერმანიამ სასტიკი მარცხი იგემა და უსიტყვო კაპიტულაცია მოახდინა.

წელს გამარჯვების დღესასწაული ჩვენს ქვეყანაში აღინიშნება დიდი ეკონომიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომელიც გამოწვეულია სკკპ ისტორიული XXVI ყრილობით. საბჭოთა ადამიანებმა, არმიისა და ფლოტის მეომრებმა მხურვალედ მოიწონეს ყრილობის გადაწყვეტილებანი და უდიდესი შემოქმედებითი ენთუზიაზმით ახორციელებენ მათ.

დიდ სამამულო ომში ისტორიულმა გამარჯვებამ დამაჯერებლად უჩვენა მთელ მსოფლიოს ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების უძლეველობა, სოციალისტური ეკონომიკის უპირატესობა, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ცხოველმყოფელი ძალა, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სსრ კავშირის ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობა. სამშობლო არასოდეს არ დაივიწყებს თავისი სახელოვანი დამცველების უკვდავ გმირობას, მუშათა კლასის, კოლმეურნეთა გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის — ყველა იმათ თავდადებულ შრომას, ვინც თავდაუზოგავად იბრძოდა გამარჯვებისათვის ფრონტზე და ზურგში.

მტერზე გამარჯვების საერთო საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოთა ხალხებმა და არმიებმა, სახალხო-განმათავისუფლებელი ძალების მებრძოლებმა, წინააღმდეგობის მოძრაობისა და ანტიფაშისტური ბრძოლის მონაწილეებმა.

გერმანიის ფაშიზმს, შემდეგ კი იაპონიის მილიტარიზმის განადგურებამ კიდევ უფრო შეასუსტა იმპერიალიზმის პოზიციები, ხელი შეუწყო მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნის, უზრუნველყო საერთაშორისო მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის თანამიმდევრული და მიზანდასახული საქმიანობის მეოხებით მნიშვნელოვნად განმტკიცდა საბჭოთა კავშირის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ადამიანებმა მოიპოვეს ახალი წარმატებანი კომუნიზმის მშენებლობაში. კომუნისტურმა პარტიამ, ახორციელებს რა ლენინურ საგარეო პოლიტიკას, სკკპ XXVI ყრილობაზე წამოაყენა კონკრეტული წინადადებანი, რომელთა მიზანია უმწვავესი საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგება ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის.

ჩვენი ქვეყნის, მოძმე სოციალისტური სახელმწიფოების მშვიდობისმოყვარულ კურსს წინააღმდეგობას უწევენ იმპერიალიზმის აგრესიული წრეები. მკვეთრად იზრდება ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი ნატოელი მოკავშირეების სამხედრო ხარჯები. იქმნება ახალ სახეობათა მასობრივი მოსპობის იარაღი, აყენებენ მშვიდობისათვის საშიშ სამხედრო დოქტრინებს. სულ უფრო გაწაფული და ვერაგული ხდება იმპერიალიზმის ხრიკები, რომელთა მიზანია სოციალისტური თანამეგობრობისათვის ძირის გამოთხრა, ძლიერდება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევა. რეაქციული იმპერიალისტური ძალების უშუალო ხელშემწყობია ჩინეთის ახლანდელი ხელმძღვანელობა.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დღენიადაგ ზრუნავენ ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებისათვის. კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური სამშობლოს, ლენინის ანდერძისა და სახელოვანი საბრძოლო ტრადიციების უსაზღვრად ერთგული არმიისა და ფლოტის მეომრები, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფო მოძმე არმიების ერთიან საბრძოლო მწყობრში ფხიზლად დგანან სოციალიზმის მონაპოვართა და ხალხის უშიშროების საფარაჯზე, მზად არიან გამანადგურებელი ლახვარი ჩასცენ ყოველ აგრესორს.

მივესალმები და ვულოცავ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობას, დიდი სამამულო ომის ყველა მონაწილეს გამარჯვების დღესასწაულს.

1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების დღესასწაულის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

დღეს, 21 საათზე ადგილობრივი დროით მიცემულ იქნეს სადღესასწაულო საარტილერიო სალუტი ოცდაათი საარტილერიო ზალპით ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში — გმირ ქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, გმირ ქალაქებში ლენინგრადში, ვოლგოგრადში, ოდესაში, სევასტოპოლში, ნოვოროსიისკში, ქერჩში, ტულაში, გმირ ციხე-სიმაგრე ბრესტში, აგრეთვე ქალაქებში კალინინგრადში, ლვოვში, დონის როსტოვში, კუიბიშევში, სვერდლოვსკში, ნოვოსიბირსკში, ჩიტაში, ხაბაროვსკში, ვლადივოსტოკსა და სევერომორსკში.

სამარადისო დიდება ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ გმირებს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხსა და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი დ. უსტინოვი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. დ. ნ. დვალიშვილის საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. დემურ ნოეს ძე **დვალიშვილი** საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 8 მაისი.

დვალიშვილი დემურ ნოეს ძე, დაბადებული 1938 წელს, ქართველი, სკკპ წევრი 1964 წლიდან, განათლებით ეკონომისტი. 1961 წელს დაამთავრა ლენინგრადის ფინანსურ-ეკონომიკური ინსტიტუტი.

ამხ. დ. ნ. დვალიშვილმა შრომითი მოღვაწეობა დაიწყო 1961 წელს ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების უფროსად, საფინანსო განყოფილების გამგის მოადგილედ, ამავე განყოფილების გამგედ.

1975 წელს ამხ. დ. ნ. დვალიშვილი დაინიშნა ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო შემდეგ თავმჯდომარედ.

1977 წელს იგი გადაჰყავთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგის მოადგილედ, 1977 წლის აგვისტოდან დღემდე მუშაობდა საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველ მდივნად.

ამხ. დ. ნ. დვალიშვილი არის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

ფინალადადება, მოსაფრთხილებელი

საქართველოს რკინიგზის ხვალინდელი დღე

განვლილი 60 წლის მანძილზე დიდი პოზიტიური ძვრები მოხდა საქართველოს ტრანსპორტის განვითარებაში. იგი გადაიქცა შედარებით მძლავრი ერთიანი სატრანსპორტო სისტემის მქონე რესპუბლიკად. საქართველოსა და ამავე ტრანსპორტის განვითარების ხანგრძლივი კომპლექსური პროგრამის შემუშავებას უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს.

სწორედ ამ პრობლემასთან — ტრანსპორტის განვითარების ხანგრძლივი კომპლექსური პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებით გვინდა ზოგიერთი მოსაზრება გამოვთქვათ, უპირველეს ყოვლისა, რკინიგზის ტრანსპორტის პერსპექტივის თაობაზე. როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის „რკინიგზები ეს უმთავრესია, ეს ერთ-ერთი გამოვლინებაა ქალაქსა და სოფელს შორის, მრეწველობასა და მიწათმოქმედებას შორის ბურჟუაზიულ ყველაზე მკაფიო კავშირისა, რომელსაც ემყარება მთლიანად სოციალიზმი“.

ამიტომაც იყო, რომ როგორც სსრ კავშირში მთლიანად, ასევე საქართველოში გასულ 60 წლის მანძილზე საზღვაო, სამოქალაქო საჰაერო, საავტომობილო და მილგამტარი ტრანსპორტის განვითარებასთან ერთად უპირატესად ვითარდებოდა რკინიგზის ტრანსპორტი, ამ პერიოდში საქართველოში მისი საექსპლოატაციო სიგრძე გადიდდა დაახლოებით ორჯერ, რკინიგზებით გაგზავნილ მგზავრთა რაოდენობა — ექვსჯერ, ხოლო გადაზიდვული ტვირთის რაოდენობა — თექვსმეტჯერ და უფრო მეტად. დღესაც საქართველოში რკინიგზის ქსელის გამტარუნარიანობის გასადიდებლად ყოლისალური მოცემულობის სამუშაოები სრულდება — მთავარ მაგისტრალებზე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მეორე ლიანდაგის დაგება, უმნიშვნელოვანესი სადგურების გაფართოება-რეკონსტრუქცია, მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზის მშენებლობა და მთელი რიგ სხვა დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელება. მაგრამ საქართველოში მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და სხვა დარგები ისე სწრაფად და ისე მასშტაბურად ვითარდება, რომ სარკინიგზო მაგისტრალები უფრო ფართოდ მშენებლობის გარეშე რესპუბლიკათაშორისო და შიდარესპუბლიკური სატვირთო გადაზიდვასა და მგზავრთა გადაყვანაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება პერსპექტივაში კიდევ უფრო გაძნელდება.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ სამართლიანად აღნიშნა ისეთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობა, როგორიც არის კავკასიის საუღელტეხილო და თბილისის სადგურების ასაქცევი რკინიგზის ხაზების მშენებლობა.

როგორც ცნობილია, საქართველოსა და, საერთოდ, ამიერკავკასიას არა აქვს ჩრდილოეთ კავკასიაში პირდაპირ გასასვლელი რკინიგზის ხაზი. ამის გამო საქართველოდან და სომხეთიდან ტვირთის ძირითადი ნაწილის გაზიდვა და პირიქით — შემოზიდვა ხორციელდება ბაქოსა და დერბენტის შემოვლით. რაც შეეხება შავიზღვისპირა სარკინიგზო მაგისტრალს, იგი ძირითადად სამგზავრო გადაზიდვას ემსახურება. ახალი სარკინიგზო ხაზი — საუღელტეხილო რკინიგზა კი საქართველოს და მთლიანად ამიერკავკასიას რუსეთის სფს რესპუბლიკასთან და სხვა

საქართველოს რკინიგზის ხვალინდელი დღე

მოკავშირე რესპუბლიკებთან უფრო მეტიდროდ დაკავშირებს, სიშორეს ხმელეთის ტრანსპორტით 2-2, 5-ჯერ შეამოკლებს, თბილისი-სამტრედია-სოჭისა და თბილისი-ბაქო-დერბენტის ტვირთდაძაბულ მაგისტრალებს გაანტვირთავს და მკვეთრად შეამცირებს სახალხო მეურნეობის სატრანსპორტო ხარჯებს.

ამიტომ, ცხადია, კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის აუცილებლობა სადავო არ არის და იგი საქართველოს ტრანსპორტის განვითარების პროგრამის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს განსახორციელებელ ღონისძიებად იქნება მიჩნეული. მაგრამ, ჩვენი აზრით, ტრანსპორტის განვითარების ხანგრძლივი პროგრამის შემუშავების პროცესში მარტო ამ სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის პრობლემის განხილვით არ უნდა შემოვიფარგლოთ. ჩვენი რესპუბლიკის რკინიგზის ხაზების სიმჭიდროვე, ბუნებრივი სიმდიდრე, გეოგრაფიული მდებარეობა, სწარმოო ძალთა განვითარების ტემპი და სხვა ფაქტორებიც მოწმობს, რომ საჭიროა ამთავითვე ვიზრუნოთ და ვიქონიოთ მონახაზები და ვარაუდები ყველა იმ სარკინიგზო ხაზის მშენებლობისთვის, რომელთა განხორციელება აუცილებელია არა მარტო უახლოეს 20 წელიწადში, არამედ უფრო შორეულ პერსპექტივაშიც. ასეთი მიდგომა შეცდომებს აგვაცდენს და ხელსაყრელ პირობებს შექმნის იმისთვის, რომ უფრო ზუსტად დავადგინოთ ამა თუ იმ სარკინიგზო ხაზების მშენებლობის ოპტიმალური პერიოდები და რკინიგზების ასაგებად გაღებული კაპიტალდაბანდებანი გამოვიყენოთ დროის მოგებითა და უფრო ეფექტიანად.

ფაქტია, რომ მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზის მშენებლობა, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური თვალსაზრისით ყოველმხრივ გამართლებულია და საეჭვოთ დროულია. მაგრამ, ჩვენი აზრით, საქართველოს სამხრეთ მთიანეთის ბუნებრივ სიმდიდრეთა უკეთ ათვისების, აგრეთვე ტვირთზიდვასა და მგზავრთა გადაყვანაზე ამ ზონის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილების სრულყოფილად დაკმაყოფილებისათვის მიზანშეწონილი იქნება პერსპექტივაში ახალქალაქიდან რკინიგზის ხაზი ასპინძის გავლით გაგრძელდეს ახალციხემდე, ხოლო შემდეგ უფრო შორეულ პერსპექტივაში ადიგენის, ხულოს, შუახევის, ქედასა და ხელვაჩაურის გავლით — ბათუმამდე. ახალქალაქი-ახალციხისა და ახალციხე-ბათუმის რკინიგზის ხაზების გაყვანა კიდევ უფრო გაზრდის ამჟამად მშენებარე მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზის მნიშვნელობას, შეიქმნება მარნეულ-ახალციხე-ბათუმის სარკინიგზო მაგისტრალი და ამიერიდან ამოსავალი საქართველოს უმნიშვნელოვანესი ნაწილი, აგრეთვე სომხეთი და აზერბაიჯანი (მარნეულის რუსთავთან რკინიგზით შეერთების შემდეგ თბილისის კავშირსა და საერთოდ თბილის-სამტრედია-ბათუმის ტვირთდაძაბული მაგისტრალის გვერდის ავლით შავიზღვისპირა რაიონებს დაუკავშირდება.

ჩვენი აზრით, თუ ამ პროგრამაში არა, უფრო შორეული პერსპექტივის დღის წესრიგში მაინც უნდა დავაყენოთ წყორ-ლაგოდეხ-ზაქათალის რკინიგზის მშენებლობის საკითხი. ჯერ კიდევ წინათ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე იგრძნობოდა საქართველოს აზერბაიჯანთან მეორე სარკინიგზო ხაზით დაკავშირების აუცილებლობა. ამიტომაც იმთავითვე ნაწილობრივ შედგენილ იქნა კიდეც წნორიდან ალაზნის ველის გადაკვეთით აზერბაიჯანთან რკინიგზით დაკავშირების პროექტი.

კახეთში წნორი, ლაგოდეხი და სხვა ახლომდებარე დაბები, ასევე აზერბაიჯანში ბელაქანი, ზაქათალა, კახი, მუხა და მთი ახლომდებარე ტერიტორიები მჭიდროდ არის დასახლებული. ეს მხარე, რომელსაც აქვს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რამდენადმე უფრო მეტად განვითარების პერსპექტივები, არადამაკმაყოფილებელი სატრანსპორტო კავშირების გამო სუსტად ვითარდება. წნორ-ლაგოდეხ-ზაქათალის რკინიგზის ხაზის გაყვანა კიდევ უფრო განამტკიცებს ეკონომიკურ კავშირს ორ მოძმე რესპუბლიკას შორის.

შიდარესპუბლიკური სარკინიგზო მიმოსვლის საშუალებათა გაუმჯობესების მიზნით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამჟამად მოქმედი თბილისი-სამტრედიისა და ჩვენ მიერ პერსპექტივისათვის გათვალისწინებული მარაბდა-ახალციხე-ბათუმის სარკინიგზო მაგისტრალების ცენტრალური ნაწილების შეერთებას ახალციხე-რიონის რკინიგზის ხაზის გაყვანით. ჩვენი აზრით, ამ ხაზმა ახალციხე რიონთან უნდა შეაერთოს აბასთუმნის, საირმისა და მაიაკოვსკის გავლით. ახალციხე-რიონის რკინიგზა მარნეულ-ახალციხე-ბათუმის რკინიგზის ხაზის მიკრორაიონებს უმოკლესი გზით დააკავშირებს ჩვენი რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიულ ცენტრთან — ქუთაისთან და საერთოდ იმერეთთან.

შავიზღვისპირა ვესიოლაია-სოხუმი-ცხაკაია-სამტრედია-ბათუმის რკინიგზის არსებული ხაზის სრულყოფისათვის და ამ ტრასაზე ვესიოლაია-ხეთის რკინიგზის ხაზის მიკრორაიონებიდან და რუსეთის სფს რესპუბლიკიდან, აგრეთვე ფოთიდან ბათუმის დანიშნულებით და პირიქით ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის დაჩქარებისა და გაიაფების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ხეთიდან ფოთამდე და ფოთიდან სუფსამდე რკინიგზის ხაზების გაყვანა. ხეთა-ფოთისა და ფოთი-სუფსის რკინიგზის ხაზები ჩვენი რესპუბლიკის შავიზღვისპირა სამ ქალაქს სოხუმს, ბათუმსა და ფოთს ერთმანეთთან დაკავშირებს ცხაკაიას და სამტრედიის რკინიგზის კვანძების გვერდის ავლით. ამ ეგრეთწოდებული შემაერთებელი ხაზების გაყვანის შემდეგ აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებს შორის რკინიგზით მიმოსვლის მანძილი საგრძნობლად შემცირდება. ამით ლიკვიდირებული იქნება აგრეთვე კუთხური ტვირთზიდვა და ზედმეტი სამატარებლო მოძრაობისა და სამანევრო სამუშაოებისაგან განთავისუფლდება ცხაკაიას და სამტრედიის რკინიგზის კვანძები.

რაჭა-ლეჩხუმისა და სამეგრელოს მთის რაიონებში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომ ზრდას, მდიდარ წიაღისეულთა ამოღება-გადამუშავებას, მინერალური წყლების სრულყოფილ ათვისებასა და საკურორტო ადგილების გამოყენებას დღისაც კი საგრძნობლად აფერხებს მიმოსვლის საშუალებათა სუსტი განვითარება.

იმ დიდ პერსპექტივას, რომელიც კახეთს, ქართლს, სამხრეთ ოსეთსა და რესპუბლიკის სხვა მხარეებს აქვს, იმ მოსაზრებამდეც მივყავართ, რომ შიდარესპუბლიკური სატრანსპორტო კავშირის გაწყობა-კეთილდღეობა ზემოჩამოთვლილ ღონისძიებათა განხორციელების შემდეგ ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით მიზანშეწონილი იქნება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და პირიქით კიდევ ერთი გასასვლელი რკინიგზის ხაზის აგება თბილისის კვანძის გაუვლელად იმ ვარაუდით, რომ მოიმსახუროს ამბეტი, თიანეთის, დუშეთისა და ლენინგორის რაიონებს. ასეთი რკინიგზის ზაზმა თელავი უნდა დაუკავშიროს გორთან შემდეგი თანამიმდევრობით: თელავი-ახმეტა-თიანეთ-დუშეთ-ლენინგორი-გორი.

რა თქმა უნდა, საქართველოში რკინიგზის ასეთი ქსელის შექმნას მრავალი ათეული წელი და შეიძლება უფრო მეტიც დასჭირდეს, მაგრამ სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონს მოთხოვნათა შესაბამისად აღნიშნული პრობლემების პერსპექტივაში გადაწყვეტილ-ათვის ამთავითვე უნდა ვიზრუნოთ. ეს არის საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის კიდევ უფრო აყვავების, მთის ზონებისა და საერთოდ სოფლის მოსახლეობის ადგილზე შენარჩუნების, ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავების დაძლევის, აგრეთვე რეგიონებისა და რაიონების მიხედვით ეკონომიკური განვითარების დონეთა გათანაბრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და აუცილებელი პირობა.

ალ. კუჭუხიძე,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არასამრეწველო საწარმოთა ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრის გამგე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ნიჩბისელი თავკაცი გვივი ბაქრაძე მცხეთისაკენ მიემურებოდა, შუა გზიდან ისევ მეურნეობის დირექციაში რომ მივაბრუნეთ.

სოფელში გვითხრეს, ახალი ოჯახები მომრავლდა, საერთო საქმის უღელს ახალგაზრდული მარჯვენაც გასწვეს, თუკი მხარდაჭერა და დახმარება ისეთი იქნება, ჩვენ რომ გიჭირსო... საზოგადოებრივი მეურნეობიდან ახალდაქორწინებულთათვის უსასყიდლოდ მოეციათ უშობელი. ჩამაყუდროვდნენ საკარმიდამო მამულში, საქონელს და ნათესს უვლიან. მერე რა, რომ საზრუნავი შეემატა, თითქოს დიდი ხნის ჯალაბი იყოს, ისე აფუსფუსებული, ზახალისებული ახალი ოჯახი.

— დამხმარე მეურნეობის საკვებით მომარაგება, ვეტმომსახურებაც ჩვენი მხრიდან ყოველდღიური, ოღონდაც პირუტყვის გამრავლებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების დასაგროვებლად ილვწოდეს თითოეული ნიჩბისელი. საბჭოთა მეურნეობა თესლის მწარმოებელია, მნიშვნელოვან უბანს კი მეცხოველეობა წარმოადგენს. „სიძნელეები? რაღა თქმა უნდა, იყო. როგორ დაძლიეს დაბარკლებები? დამხმარე მეურნეობებს ყველა პირობა შეუქმნეს პირუტყვის გამოსაზამთრებლად. გამოიყო სპეციალური ნაკვეთები, სადაც საკვებ კულტურებს თესენ ნიჩბისელები; მოსახლეობას უსასყიდლოდ დაურიგდა თივა, სხვა უხეშნი საკვები. დღეს კი იმ ათ მოსახლეს, მარაგი რომ გამოელია, დამატებით მიეცა თივა.

„სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდა ჩვენი სოფლის თავიდათავი ამოცანაა. პარტიულ-სამეურნეო აქტივზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის ტემპის დაჩქარებას,—გვეუბნება პატივცემული გივი.—გასულ წელს მეურნეობაში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. სახელმწიფოს მიეყიდა 3807 ცენტნერი რძე და 403 ცენტნერი ხორცი. მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე კვარტალში ფერმების პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის ორი თვის გეგმა ნამატით აღინიშნა“.

ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ნიჩბისის მეურნეობაში ყოველი შრომითი წარმატება და განაღდებული გეგმა-ვალდებულება ურთიერთდახმარების, პირველ რიგში კი სოციალისტური შეჯიბრების სულისკვეთების ბალი არის გაკეთებული. მეძოვეობის ფერმის მოწინავე მწველავების ეთერ ოსეფაშვილის, ვეფერა პეტროსიანის, ანა ხიზანიშვილის პირადმა ინიციატივამ, საქმისადმი შემოქმედებითმა დამოკიდებულებამ, სოცშეჯიბრისად მ ი პასუხისმგებლობამ მყარი საფუძველი დაუდეს ნიჩბისში საზოგადოებრივ მეურნეობასთან საკარმიდამო მამულში, საქონელს და ნათესს უვლიან. მერე რა, რომ საზრუნავი შეემატა, თითქოს დიდი ხნის ჯალაბი იყოს, ისე აფუსფუსებული, ზახალისებული ახალი ოჯახი.

ზ. ნიკურაძე.

ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲗᲣᲙᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲡᲯᲔᲠᲓᲔᲑᲘ...

ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲨᲔᲡᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲢᲔᲛᲞᲘᲡ ᲓᲐᲩᲥᲐᲠᲓᲔᲑᲐ,—ᲒᲕᲔᲣᲑᲜᲔᲑᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲒᲘᲒᲘ.—ᲒᲐᲡᲣᲚ ᲬᲚᲔᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲪᲮᲝᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲔ�გᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ. ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲚᲐ 3807 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠᲘ ᲠᲫᲔ ᲓᲐ 403 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠᲘ ᲮᲝᲠᲪᲘ. ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲨᲘ ᲤᲔᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲨᲔᲡᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲒᲔ�გᲛᲐ ᲜᲐᲛᲐᲢᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ“.

ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲐᲠ ᲕᲔᲕᲪᲓᲔᲑᲘᲗ, ᲗᲣ ᲕᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲠᲐᲑᲓᲐ-ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲒᲖᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲦᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲘᲡᲔ ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲕᲘᲗᲥᲕᲐ ᲛᲔᲤᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲮᲚᲐᲠᲔ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲐᲙᲐᲒᲖᲘᲠᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲬᲘᲡᲬᲘᲠᲘ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝ

უკვდავი გმირობის ფურცლები

დიდ სამამულო ომში
გამარჯვების 36-ე წლისთავი

სურათზე: სამამულო ომის ვეტერანთა ერთი ჯგუფი.
ს. კილაძის ფოტო.

მათი თავდადება ლეგენდად დარჩა

მოსკოვიდან 80 კილომეტრზე, მდინარე უგრის ნაპირას დგას ცად ატყორცნილი ობელისკი. იგი მოსკოვის მისადგომებთან დაღუპულ მეომართა პატივსაცემ ად არის აღმართული.

ობელისკის ირგვლივ თეთრი არყის ხეები გარინდულან. ისინი წლების განმავლობაში იცავენ შინმოუსვლელი საბჭოთა დეკგმირების მუდრობას. მარმარილოზე ოქროს ასოებით ამოკვეთილია საბჭოთა მეომრების გვარები: კრამჩეკი, ბელგაკოვი, ტაბატაძე, ალიზადე და სხვანი...

მეგობრული კოკონი გიზგიზებს ტყეში. ცეცხლს შუქზე უფრო გამოკვეთილად მოჩანს ხანდაზმულ ადამიანთა სახეები. მდინარე უგრის მაღალი ნაპირიდან მოსკოვისაკენ მიმავალი გზატკეცილი იწყება. სწორედ აქ 1941 წლის 4 ოქტომბერს შეება მტერს უთანასწორო ბრძოლაში მაიორ სტარჩაკის რაზმი.

ივანე გიორგის ძე სტარჩაკმა უკვე 70 წელს გადააბიჯა, მაგრამ მაინც მხნედ გამოიყურება, ცხოვრობს სოფელ უდელნოიში. 50 წელია იგი კომუნისტური პარტიის რიგებშია, მიღებული აქვს ორი ლენინის, სამი წითელი დროშის, ალექსანდრე ნეველის, სუვოროვის ორდენები. დიდი სამამულო ომის დროს ი. სტარჩაკი 180-ჯერ შეიჭრა მტრის ზურგში, ორჯერ მძიმედ დაიჭრა, სამამულო ომის თემაზე დაწერილი რამდენიმე წიგნის ავტორია.

ეს შესანიშნავი საბჭოთა პატრიოტი იგონებს: „მტერმა გაარღვია ჩვენი თავდაცვის ხაზი და ნიაღვარივით მოაწყდა ვიაზმას. აქედან იწყებოდა გზა კალევასაკენ და ვარშავის გზატკეცილის გავლით შეიძლებოდა იუხნოვოში ჩასვლა. აქედან კი, როგორც ამბობენ, მოსკოვამდე ორიოდე ნაბიჯია. 500 მებრძოლი მყავდა, 500 არწივი, ყველა გამოცდილი პარაშუტისტი — მედესანტე, უმთავრესად კომკავშირელები, ჩვენი დიადი სამშობლოს ყოველი კუთხიდან იყვნენ. მივიღეთ გაბედული გადაწყვეტილება — გზა გადაგვეღობა გერმანელთა 57-ე მოტოკორპუსის ავანგარდისათვის. არც ერთი ნაბიჯი უკან, უკან მოსკოვია. ხიდი, საიდანაც მოჩანდა გზა, გამაგრებული იყო. მდინარის ნაპირები დავნაღმეთ და უბმაუროდ დავიკავეთ იგი. 5 ოქტომბერს ღილით მტრის ავიაციამ შემოგვიტია, მერე არტილერიამ შემოგვინთო ცეცხლი. მალე მოტოკოლონა გამოჩნდა, წინ მოტოციკლისტები მოჰქროდნენ, საბჭოთა სამხედრო ფორმაში გამოწყობილნი და წითელი დროშებით... მტრის მზაკვრული ჩანაფიქრი გამოვიცანით. გავეცი ბრძანება —„ცეცხლი!“. მტერი მდინარის ციცაბო ნაპირის მიღმა გადარეკეთ. ასობით გვამი დატოვეს გერმანელებმა.

ასე ვიცავდით წმინდათაწმინდა მოსკოვის მისადგომებს. 5 დღის განმავლობაში მტერმა ტანკები შემოგვისია, უთანასწორო ბრძოლაში საბჭოთა ჯარისკაცები გმირობის ნამდვილ სასწაულებს ახდენდნენ, იბრძოდნენ უკანასკნელ ვაზნამდე, აუმბარებს უშენდნენ მტრის ტანკებს. განსაკუთრებით გამოვყოფ მებრძოლებს: ტაბატაძეს, ვასილიევს, ბალიაკინს... მხოლოდ რამდენიმე მებრძოლი გადარჩა, ბრძოლის ამ უბანზე მათი გმირობა ლეგენდად დარჩა“.

ივანე სტარჩაკს სიტყვა ჯევდეთ სეიტიევმა ჩამოართვა:

„გადარჩენილთა შორის აღმოვჩნდი. ამჟამად ვცხოვრობ უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში, ვარ მასწავლებელი. გუშინდელივით მახსოვს მრისხანე 1941 წლის ოქტომბრის დღეები უთანასწორო ბრძოლაში, როცა სტარჩაკის მებრძოლებმა მტრის მოტოკორპუსს გადაუღობეს გზა მოსკოვისაკენ, მივაღწიეთ იმას, რასაც შეეწირა ჩვენი მეომრების სიცოცხლე. მტერი ვერ გადავიდა ხიდზე, ერთი ნაბიჯითაც ვერ წაიწია წინ. გერმანელთა ტანკებმა მდინარე უგრისს მიაშურეს ფონის მოსაძებნად, რათა ზურგიდან დაერტყათ ჩვენთვის. იძულებული გავხდით ხიდი აგვეფეთქებინა. ეს ოპერაცია გამოცდილ მედესანტეებს დაევალა, რომელთაც ქართველი ტაბატაძე ხელმძღვანელობდა. მტერი განუწყვეტლივ გვიშენდა ცეცხლს, მაგრამ ხიდი მაინც ავაფეთქეთ. ჩვენი სანგრებიდან კარგად ჩანდა, როგორ წაიყვანა თავისი პატარა რაზმი უკანასკნელ შეტევაზე ტაბატაძემ, მათ წინააღმდეგ ტანკები გამოიყვანეს ფაშისტებმა. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გმირულად დაიღუპა ჩვენი საუკეთესო მეგობარი, ქართველი ხალხის მამაცი შვილი ტაბატაძე.

მასთან ერთად ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე გავდიოდით სამხედრო სამსახურს საზღვარზე. აქვე მივიღეთ საბრძოლო ნათლობა. ჩვენმა რაზმმა 9 ოქტომბრამდე შეაჩერა მტერი, არ მისცა საშუალება მოსკოვისაკენ გაჭრილიყო. 10 ოქტომბერს მაშველი ძალა შეგვიერთდა...“

კოკონის შუქზე ყოფილმა მედესანტეებმა ძველი ფრონტული სიმღერა წამოიწყეს, გაზაფხულის ქარს მაღლა ცაში მიაქვს ყალყზე შემდგარი ცეცხლის ენები. ვეტერანები უხმოდ დგებიან ობელისკთან, ქუდს იხდიან, მერე ნელი ნაბიჯით უახლოვდებიან ძმათა საფლოს და გაზაფხულის ყვავილებით ამკობენ მას.

აქ, მოსკოვიდან 80 კილომეტრზე, მდინარე უგრის ნაპირებთან თავის უკვდავებას შეეგებნენ საბჭოთა დეკგმირები ბულგაკოვი, ტაბატაძე, ალიზადე...

დ. მაჯავარიანი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ლეონიდ რეშეტნიკოვი

პოლკოვნიკი ჩანჩიბაძე კოლოდნისათვის ბრძოლის ჟამს

საბჭოთა კავშირის გმირის, მოიერიშე მფრინავის, გადამდგარი პოლკოვნიკის ზაქარია სოლომონის ძე ხიტალიშვილის სახელი კარგად არის ცნობილი. დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში მან ორასზე მეტი საბრძოლო გაფრენა მოახდინა.

ამას წინათ ს. ხიტალიშვილმა პოლტავის ოლქის კოტელვის რაიონის უდანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავჯდომარის დახმარებით იპოვა, შემდეგ კი შეხვდა კიდეც, თავისი თვითმფრინავის მექანიკოსს ვლადიმერ მიხეილის ძე გალაკს. ეს შეხვედრა 35 წლის შემდეგ მოხდა. დაძმობილებულ მეგობართა ამ პაემანს ეძღვნება გაზეთ „ზოლია პოლტავშჩინის“ („პოლტავის განთიადის“) სპეციალური კორესპონდენტის ა. ნანკევიჩის ეს წერილი „ძმობის მარადმწვანე ხე“, რომელიც უკრაინულიდან დაარგმნა თბილისის უნივერსიტეტის მასწავლებელმა ნია აბესაძემ.

გადიაჩრის რაიონის „კომუნიზმის დროშის“ კოლმეურნეობის მეორე სატრაქტორო ბრიგადის ყოფილ ბრიგადირს, აწამად პენსიონერ ვლადიმერ მიხეილის ძე გალაკს აღარც კი ახსოვდა, რას შერებოდა მაშინ—რაღაცას აშალაშინებდა, გაზეთს კითხულობდა თუ უბრალოდ იჯდა და თუთუნს აბოლებდა, როცა კანტორიდან ამბავი მოუტანეს... თითქოს ორმოცი წლით გაახალგაზრდავდა...

— ზაქარია ხიტალიშვილი ჩამოდის! —აცნობა შიკრიკმა — გადიაშჩიდან დარეკეს.

— დედაკაცო!— გასძახა ცოლს ვალოდიამ. —სად არის ჩემი საგარეო ტანსაცმელი? — მაგრამ მაშინვე გაჩუდდა, გაახსენდა, ცოლი ავად იყო. მოუბოდიშა:

— უჰ, იწექი, იწექი. ზაქარია ჩამოდის-მეთქი..

ძლივს მოასწრო გამოწყობა. რიმარიოვკის კანტორამდე იარა დასახვედრად, რადგან მაქსიმოვკამდე ამ ლაფში მსუბუქი მანქანით ვერც ჩავიდოდა. სწორედ ამ დროს გაჩერდა მის წინ „ვოლგა“.

— ბატონო ვალოდია, ბატონო ვალოდია! — ეუბნებოდა ზაქარია და მიუთითებს მკერდზე, სადაც წითელი ვარსკვლავისა და საბრძოლო მედლების გვერდით უკიაფებს შრომის ჯილდოები — ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენები.

გვიანობამდე საუბრობდნენ ვეტერანები. და მათმა დიდიხნის ნაცნობმა შეხვედრამ გააცისკროვნა ჩვენი უკიდეგანო სოციალისტური სამშობლოს ორი ხალხის წარმომადგენელთა ძმური მეგობრობის კიდევ ერთი მშვენიერი ფურცელი.

ა. ნანკევიჩი.

სურათზე: თბილისის № 28 საშუალო სკოლის ზოია რუხაძის სახელობის № 12 პიონერული რაზმეულის წევრები უცნობი ჯარისკაცის საფლავთან.
ს. კილაძის ფოტო.

ძმობის მარადმწვანე ხე

— ვალოდია, ძამია! — მოესმა მანქანიდან ცისფერთვალა, ჩასუქებული ვაჟკაცის ხმა. ბედნიერებით გაბადროდა სახე. ხელები გაშალა და გულში ჩაიკრა ტანმორჩილი ვალოდია გალაკი.

— გენაცვალე! ცოცხალი ხარ?!.

— ზაქრო!

ყველას, ვინც ამ დროს რიმარიოვკის ცენტრალურ ქუჩაზე ამ ამბავს დაესწრო, გული აუჩუყდა. მართლაც გულის ამაჩუყებელი სანახაობა იყო. — ომის დამთავრებიდან 35 წლის შემდეგ ერთმანეთს შეხვედა ორი ჭალარა ვეტერანი.

— ხალხო!— ქართული კილოთი მომართა სოფლელებს სტუმარმა.— ვალოდია ჩემი ყოფილი ტექნიკოსია.

— მე მფრინავი ვარ, — უხსნიდა მათ ექსპრესიული და მკვირცხლი სტუმარი. — აი, ვალოდია გალაკი კი, თქვენი თანასოფელი, გასაფრენად ამზადებდა ხოლმე ჩემს მანქანას. — იგი კვლავ გადაეხვია ვალოდიას და სამგზის გადაკოცნა. ლაბადა გაეხსნა და მკერდზე საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს ვარსკვლავი აუკიაფდა.

— გამარჯობა შენი, ბრძოლის მაესტრო...

— გახსოვს, — ჩაეცინა ვალოდიას. უეცრად თვალწინ წარმოუდგა ის შორეული ამბები.

მათ ვორონეჟში გაიცნეს ერთმანეთი. სტარაია რუსაში დაიღუპა კაპიტანი ფედიანინი, რომელთან ერთადაც 1941 წლის 22 ივნისს ომს შეხვდა სერჟანტი გალაკი. ახალი ტექნიკა მიიღეს, გაფრენისათვის ემზადებოდნენ. ვალოდიამ ჯერ არც კი იცოდა, ვისთვის ამზადებდა ასე გულმოდგინედ მრისხანე დჯავშნულ მანქანას.

— გაფრინდები? — ჰკითხა მას ხმელ-ხმელმა ოფიცერმა, რომელიც მოულოდნელად დაადგა თავს, თითქოს მიწიდან ამოძვრაო.

— ამხანაგო უმცროსო ლეიტენანტო,—გაეკიმა მექანიკოსი, რომელიც უმალ მიხვდა, რომ ეს იყო მისი ახალი მეთაური. თვითმფრინავი მზად არის საბრძოლველად გაფრენისათვის!—

— თავისუფლად, —მაგრად ჩამოართვა ხელი მფრინავმა და წარუდგა: ზაქარია ხიტალიშვილი...

როცა შეიტყო, რომ ვალოდია უკრაინელი იყო, გადაეხვია და სხაპასხუპით აუხსნა, მე ქართველი ვარ, მაგრამ ახლა რამდენადმე უკრაინელიც გავხდიო... შემდეგ დაიწყო ბრძოლის სადაგი დღეები.

ბევრი ბრძოლა გაიხსენეს მეგობრებმა. ისინი მუსრს ავლებდნენ მტერს მოსკოვთან და ხარკოვთან, ლენინგრადთან და სტალინგრადთან, ყირიმში და ესტონეთში... პოლკში ოცამდე ეროვნების მეომრები იყვნენ. ძმური მეგობრობით, ფიცის ერთგულებით შედუღაბებულნი, ისინი სასწაულებრივ გმირობას სჩადიოდნენ. გავიხსენოთ მარტო ერთი ეპიზოდი.

ბალაკი: ზაქარია უკანასკნელი მოფრინდა. ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო: მოიერიშეები ყოველთვის როდი ბრუნდებიან ერთად, ხანდახან გაფანტავენ ხოლმე მათ „მესერები“. ზოგი იძულებით დაჯდება. მაგრამ შევკთი, როცა დავინახე, რომ ჩვენი მანქანა ძლივს მოფარფატებს, სიჩქარეს კარგავს. კუდი სძერება, საცაა ქვასავით წამოვა ქვევით.

— სახიტარი! — ვიყვირე და მინდოროში გავიქეცი.

ზაქარია იჯდა, მკერდზე დაეყრდნო თავი. სახე სისხლით ჰქონდა მოთხვრილი. სანიტრებმა ფრთხილად გამოიყვანეს.

— რა მოგვიდა, ზაქრო? — თავი ვერ შევიკავე შეკითხვისაგან.

— ცოცხალი ვარ, ძამია. ჩვენ კიდევ ვიბრძოლებთ. მაგრამ აი, თვალთ დამიბნელდა.

—როგორ მოფრინავდი? ბრმად?

— მე ყველაფერს ვხედავდი,— მიჩურჩულებს ზაქარია, — ჩვენს მიწას ვხედავდი, ხეების შრიალი მესმოდა, ნაკადულის ჩხრიალი. სამ კვირას იწვა ჰოსპიტალში თვალახვეული. ექიმებმა საშინელი განაჩენი გამოიტანეს: დაბრმავდა!...

— დედას ბრმა შევხვდები, თავისუფლებას ბრმა ვნახავ, — არ ცხრებოდა ხიტალიშვილი. — ექიმო, მიშველე, ერთხელ კიდევ დამაცხრილნე მტრის სანგრები, მტრისგან გამაწმენდინე ჩვენი მიწა...

ვინ იცის, რამ უშველა — სამშობლოს სიყვარულმა თუ მტრისადმი სიძულვილმა, ან იქნებ ახალგაზრდა ორგანიზმმა გაიმარჯვა, ეს კია — მფრინავს თვალში სინათლე დაუბრუნდა. გამარჯვების დღემდე ახადგურებდა ფაშისტებს. კიდევ დიდხანს უმზადებდა საბრძოლველად მრისხანე მანქანას ვლადიმერ მიხეილის ძე გალაკი.

და აი, ძმობილები მშვიდობიან სუფრას უსხედან. მუსაიფობენ, იგონებენ ბრძოლებს, თანაპოლკელ ამხანაგებს!

— შენ არც მშვიდობიან დროს ასოწოლილხარ მხარ-თეძოზე,— ეუბნება ზაქარია და მიუთითებს მკერდზე, სადაც ოქროსფერ ვარსკვლავისა და საბრძოლო მედლების გვერდით უკიაფებს შრომის ჯილდოები — ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენები.

ბალაკი: ზაქარია ხიტალიშვილი ჩამოდის! ეს ამბავი ელვასავით ეხვევა, კოცნის.

აკაკი გეწაძის თარგმანი.

ალეგორია

ᲛᲔᲢᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ

ᲗᲕᲠᲐᲛᲔᲢᲘ წლის ბიჭს პლუს 38 წელი, იქნება 56 წლის კაცი; ოცდასამი წლის ჭაბუკს ამდენივე წელი რომ მიუმატო, 60 წელს გადაცილებული ჭარმაგი მამაკაცია. პატარა ასკობრივი სხვაობა ახალგაზრდულ ასაკშია თვალში საცემი, თორემ მოწიფულ ასაკში თითქმის შეუმჩნეველი ხდება. ამიტომ ერთბაშად ვერ მივხვდი 38 წლის წინ რომელი უნდა ყოფილიყო 23 წლის ოცეულის მეთაური გრიგოლ თალაკვაძე და რომელი 18 წლის რიგითი ჯარისკაცი ბეგლარ ღოღობერიძე.

— გულმა ამომძახა რაღაცნაირად, ის არისო, თორემ, აბა, წარმოიდგინეთ, როგორ უნდა მეცნო. ოცდათვრამეტი წელი ოცდათვრამეტი დღე ხომ არ არის, — ამბობს გრიგოლ თალაკვაძე.

თვით ბრწყინვალე მხედველობითი მეხსიერებითაც კი შეუძლებელია იცნო კაცი, რომელიც ოცდათვრამეტი წელია არ გინახავს. უფრო მეტიც, როცა ისიც კი არ იცი, საერთოდ ცოცხალია თუ არა. ამ დროს გული უნდა წაგეხმაროს. განსაკუთრებით თბილ მოგონებებს ხომ სწორედ ის ინახავს ხოლმე.

გული არც შემცდარა. „ის“ იყო — ძველი ფრონტელი მეგობარი ბეგლარ ღოღობერიძე.

„**ᲓᲦᲔᲡᲐᲪ**, ათწლეულების შემდეგ აუღელვებლად ვერ წაიკითხავთ საჯარო ფიცს, რომელიც ზღვაში გასვლის წინ დავდეთ“, — წერს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი „ᲪᲘᲠᲘᲗᲘ ᲛᲘᲜᲬᲐᲨᲘ“. აი ის ფიციც: „მივდივართ რა საბრძოველად, ჩვენ ფიცს ვდებთ სამშობლოს წინაშე, რომ სწრაფად და გაბედულად ვიმოქმედებთ, სიცოცხლეს არ დავზოგავთ მტერზე გამარჯვებისათვის. ჩვენს ნებისყოფას, ჩვენს ძალ-ღონეს არ დავზოგავთ და ყოველ წვეთ სისხლს გავიღებთ ჩვენი ხალხის ბედნიერებისათვის, შენთვის, უსაყვარლესო მამულო... ჩვენი კანონი მხოლოდ წინსვლა არის და იქნება“..

პირველი დესანტისათვის გულმოდგინედ არჩევდნენ ხალხს, ამზადებდნენ მათ განსაკუთრებული ბრძოლებისათვის.

რანაირ სტატისტიკას არ შეხვდები კაცი. ყოველთვის მშრალია იგი და კონკრეტული, ხან კი ასეთი სასტიკიც: მცირე მიწის ყოველ მებრძოლზე 1.250 კილოგრამი მომაკვდინებელი ლითონი მოდიოდა. ეს იყო ჭურვები, ბომბები, რომლებსაც ფაშისტები არ იშურებდნენ მცირემიწელთათვის.

განსაკუთრებით ძნელი მაინც პირველი დესანტის გადასხმა იყო. მაგრამ მათ უდიდესი მსხვერპლის ფასად გააღწიეს ცეცხლის ზვიმას და საიმედოდ გამაგრდნენ პლაცდარმზე, რომელსაც შემდგომ მცირე მიწა უწოდეს, ამასთან ყველანი ფიცის ერთგულნი დარჩნენ. მომდევნო დღეებში პლაცდარმზე სხვა ნაწილებიც გადმოვიდნენ და დაიწყო მცირე მიწის ეპოპეა, რომელიც სხვა ათასობით მებრძოლთან ერთად საკუთარ მხრებზე გადაიტანა ნამმტყორცნელთა ოცეულის მეთაურმა გ. თალაკვაძემ.

— ბეგლარი ჩემს ოცეულში იყო. ყველაზე უმცროსი — 18 წლისა— ყველას განსაკუთრებით გვიყვარდა, ბავშვური ხასიათი ჰქონდა, ცელქი, მხიარული. ამასთან საზრიანი და მარჯვე ბიჭი იყო, — ეს ოცეულის მეთაურის მიერ რიგითი ჯარისკაცის ოცდათვრამეტი წლით ნაგვიანევი დახასიათებაა.

ომი სასტიკია. იგი ნაადრევად აბრძენებს ყველას. და ბეგლარის მხიარული სიცილიც მწარე კვნესამ შეცვალა მალე —მძიმედ დაიჭრა —ხელში, ფეხში, მოუვიდა აგრეთვე კონტუზია. ჭრილობა შეძლებისდაგვარად შეუხვიეს. გამოსავალი ერთი იყო—ხღვის ნაპირამდე როგორმე მიეყვანათ დაჭრილი, რომ ჩქარდან კატარღით გაღმა გაეყვანათ. ზღვის ნაპირამდე კი კილომეტრზე მეტი იყო. გრიგოლმა და მისმა ამხანაგმა დაჭრილი დანიშნულ ადგილამდე მიიყვანეს. კატარღა ჯერ არ ჩანდა. მოცდის დროც არ იყო. ადგილზე კი აუცილებლად უნდა დაბრუნებულიყვნენ. რას იზამ, ომს თავისი კანონები აქვს. ბეგლარი სხვა დაჭრილებთან ერთად იქ დატოვეს, თავად კი უკან დაბრუნდნენ. „ომი სასტიკი რამ არის... აქ თუ ვინმე შეგეცოდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მის ნაცვლად სხვა გაგზავნო. აქ ერთი ზნეობრივი გამართლებაა— მხარში ედგე მებრძოლებს გაჭირვების ჟამს, გაიზიარო მათი ხვედრი და ყველაფერი იღონო, რაც შეგიძლია, რათა დაიცვა ისინი უმაქნისი რისკისაგან, შეუმსუბუქო ჭირ-ვარამი“. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ეს სიტყვები ყველა მცირემიწელის და საერთოდ ყველა იმ ადამიანის აზრს გამოხატავს, ვინც თვითონ გამოსცადა ომის სასასტიკე, ვინც იმ გაჭირვების ჟამს თანადგომის, შემსუბუქებელი ჭირვარამის ფასი იცის.

ასე შედეგაბებულ მეგობრობას კი ოცდათვრამეტი წელი რას დააკლებდა!

იმ დღეს წასული 12 კატარღიდან მხოლოდ სამმა მიაღწია ნაპირს. გ. თალაკვაძე, რა თქმა უნდა, ვერსად გაიგებდა რომელზე იყო მისი დაჭრილი მეგობარი. სიკვდილის შანსი სიცოცხლის წინააღმდეგ კი დაახლოებით ასე გამოიყურებოდა — ოთხი ერთთან!

თითქოს სიმბოლურიც კი იყო მათი შეხვედრა შარშან დიდ სამამულო ომში გამარჯვების 35-ე წლისთავის წინა დღეებში.

ღილით გრიგოლ თალაკვაძემ გაზეთების კიოსკს მიაშურა. მის წინ მაღალი, წარმოსადეგი, ხმელ-ხმელი კაცი იდგა. ისეთივე ლურჯი თვალები ჰქონდა, როგორიც იმ თვრამეტი წლის ბიჭს, 38 წლის ზღვის სანაპიროზე რომ მიიყვანა მძიმედ დაჭრილი. გულმა რეჩხი უყო. მზერამ თითქოსდა თავისთავად იპოვა ხელზე ნაირეკვიც. ის შანსი გაახსენდა თავისთავად — ოთხი ერთის წინააღმდეგ. კიდევ კარგი, რომ ცხოვრება მშრალი მათემატიკა არ არის.

„რაც არის არის, ვკითხავ. თუ ის არ აღმოჩნდეს ვის რა დაუშავდება, ბოლოს და ბოლოს“,—გადაწყვიტა მან.

— უკაცრავად, მცირე მიწაზე ხომ არ იბრძოდით? — და სანამ უცნობი რამეს უპასუხებდა, წამიერად მოეჩვენა, რომ სისულელე იკითხა. ნამეტანი ხომ არ მოინდომა—ამდენი ხნის მერე კაცის ცნობა.

დადებითმა პასუხმა ყოველგვარი ეჭვი გაფანტა. მაინც ჭკითხა თქვენი ოცეულის მეთაური ვინ იყოო.

სურათზე: სამამულო ომის ვეტერანთა ერთი ჯგუფი.
ს. კილაძის ფოტო.

—ქართველი იყო, თალაკვაძე, გრიშა თალაკვაძე...

რატომღაც უცნობს არ უთქვამს, რად მეკითხებიო, თითქოს მისი ინტუიციაც ერთბაშად ამუშავდა.

მერე გაზეთების რიგი მათ კი არა, გარშემმყოფებსაც მიავიწყდათ, ქუჩაში გამვლელებიც ჩერდებოდნენ, მათ უყურებდნენ. მათ კი ირგვლივ ყველა და ყველაფერი დაავიწყდათ. არის ცხოვრებაში წუთები, ყოველგვარ ეტიკეტს რომ არღვევს. დიდი სიხარულის და დიდი მწუხარების ჟამს ხდება უმეტესწილად ეს.

თანაპოლკელებს გასახსენებელს და ერთმანეთისათვის საამბობს რა დაულევთ. განა შეიძლება წლების მერე ნაპოვნ მებრძოლარ არ უამბო, როგორ მივიღეს პარტიის რიგებში: 1943 წლის 17 აპრილს ტაბაში 12 კაცი მიიწვიეს, მათ შორის გ. თალაკვაძე, და მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების უფროსმა ლ. ი. ბრეჟნევმა მათ სკკპ წევრობის ბილეთები გადასცა.

ფაშისტებს ბერლინამდე მისდია გ. თალაკვაძემ. მშვიდობიან პერიოდში ახალგაზრდობის აღზრდას ემსახურა. თელავის საშუალო სკოლის დირექტორი იყო, მერე მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ამჟამად პენსიონერია. ბეგლარ ღოღობერიძე კი სამოქალაქო ავიაციაში მსახურობს. ორივენი ბედნიერი მამები და პაპები არიან.

ᲛᲐᲘᲡᲘ ყველაზე ძვირფასი დღესასწაულია ყველა ომგადამოვლილისათვის. ის უმძიმე ს ი ოთხი წელი ადამიანთა ხსოვნაში ისეა ჩაბეჭდილი, რომ 35 წელმა ვერ გააფერმკრთალა. მაგრამ ამ დღეს ყოველი მოგონება თითქოს უფრო ცხოველდება, უფრო მეტ სიმძაფრეს იძენს. ისეა პატივცემული გრიგოლის და ბეგლარის ცხოვრებაშიც. შარშანდელი ცხრამაისობა ი განსაკუთრებული იყო ოცდათვრამეტი წლის მერე შეხვედრით დამშვენებული და გალამაზებული. წელს კი ამ შეხვედრის წლისთავს ზეიმობენ ერთად მცირემიწელები.

Ზ. ᲮᲐᲠᲔᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

სურათზე: გ. თალაკვაძე (მარჯვნივ) და ბ. ღოღობერიძე.
ჯ. ლომაძის ფოტო.

შეხვედრა

„**ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚ** დოლიძის მშობლებს! თქვენი ვაჟი **ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲫᲔ ᲓᲝᲚᲝᲫᲘᲡ** გმირულად დაიღუპა გერმანელ ოკუპანტთა კავკასიიდან განდევნის დროს. ვახტანგმა ეიბრანთალად შეასრულა ყველა დავალება. იგი მტკიცე ნებისყოფის, მარჯვე, გულადი ადამიანი იყო. უსაზღვროდ უყვარდა თავისი მიწა-წყალი და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა მის დასაცავად

ჩვენ განვაგრძობთ სამშობლოს განთავისუფლებას და წმიდა საქმის შესრულებას. იყავით მხნედ და კარგად. იცოდეთ, რომ ასეთი გმირული სიკვდილი საამაყოა მშობლებისთვისაც და სამშობლოსთვისაც. ვახტანგი დავასაფლავეთ ძმათა საერთო საფლავში, რადგან დიდი ბრძოლების გამო თითოეულის ცალ-ცალკე დაკრძალვის საშუალება არ იყო. ჩვენი სამხედრო ნაწილის მებრძოლები ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ თქვენი შვილის დაღუპვის გამო და ვფიცავთ, სამაგიეროს გადავუხდით ვერაგ მტერს მისი დაღუპვისათვის. პატივისცემით სამხედრო ნაწილის თანამშრომელი — ბახტაძე. 1943 წ. 19. VI.“

აი ეს გაცრეცილი, დრო-ყამისაგან გაყვითლებული ბარათი მოგვტანა რედაქციაში დაღუპულის დამ, პედაგოგმა ლილი დოლიძემ. იგი ცრემლებს ვერ იკავებდა თავისი საყვარელი ძმის გახსენებაზე.

ვახტანგის ნაძერწები, მისი ჩანახატები ხომ დღესაც სასოებით აქვთ ოჯახში შენახული. იგი პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი იყო, როცა სამშობლოს დასაცავად გაიწვიეს. ვახტანგ დოლიძე 414-ე ქართულ მსროლელთა დივიზიაში ჩარიცხეს, მხოლოდ ექვს თვეს იბრძოდა ახალგაზრდა ლეიტენანტი მტრის წინააღმდეგ და სოფელ თომაზოვსა და მოზდოკისათვის ბრძოლაში გმირულად დაიღუპა.

— ვახტანგის საფლავს კი მივაგენით, მაგრამ არაფერი ვიცით მეორე ძმის რევაზ დოლიძის შესახებ, — გვეუბნება ქალბატონი ლილი, — მისი მხოლოდ უგზოუკვლოდ დაღუპვის ცნობა მივიღეთ, სამამულო ომში მამაჩემიც იბრძოდა, ივანე დოლიძე. იგი ომის დამთავრების შემდეგ გამარჯვებული დაგვიბრუნდა, ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული, მაგრამ შვილების დაღუპვამ დიდად დაამწუხრა.

რამდენი ასეთი გულმოკლული და, ძმა თუ შვილი მოდის რედაქციაში, მოაქვთ თავიანთი ძვირფასი ადამიანების უკანასკნელი წერილები, ფოტოსურ ა თ ე ბ ი, გვთხოვენ მათს გამოქვეყნებას, ფიქრობენ, იქნებ ცოცხლები არიან თანამებრძოლები, რომ დაღუპულთა ამბავი აუწყონ.

სამი და — ლილი, თამარი და ნინო შილაკაძეები დაეძებენ თავიანთი უმცროსი ძმის, 1925 წელს დაბადებულ **ლეო გერასიმეს ძე შილაკაძის** თანამებრძოლებს. იგი 1945 წლის თებერვალში გაიწვიეს სამამულო ომში და უნგრეთის ტერიტორიაზე იბრძოდა. მისი ბოლო წერილი ბუდაპეშტიდან აქვთ მიღებული. ირიცხებოდა 141-ე დივიზიის 745-ე ლეგიონის მესამე ათასეულში. 26 მარტს დაჭრილა ავსტრიის რომელიღაც სოფელში და მოძრავ საველე ჰოსპიტლში გაუგზავნიათ. მეტი მის შესახებ არაფერი იციან.

უნდა ნახოთ, რა სიყვარულით, სასოებით ინახავს ტატიანა მიქაძე თავისი ტუფუი ძმების **ᲚᲐᲓᲝᲜ ᲓᲐ ᲕᲐᲠᲚᲐᲛ ᲛᲘᲥᲐᲫᲔᲘᲡ** ხელნაწერი ლექსების კრებულს, რომლებიც თვით ავტორების ხელით არის აკინძული, ყდებში ჩასმული და გფორმებული. აბაშის რაიონის სოფელ სამიქაოში კარგად ახსოვთ ეს კეთილშობილი ყმაწვილები. ისინი თავიანთ ლექსებში უმღეროდნენ ჩვენი ქვეყნის წინსვლას, საქართველოს ლამაზ მთებსა და ველებს, უგალობდნენ სიყვარულს. ომი რომ დაიწყო, საველდებულო-სამხედრო სამსახურში იყვნენ გაწვეულნი, 1942 წლიდან კი მათი ასავალ-დასავალიც ბოლოდ ცნობილი გახდა. ლადონ მიქაძეს ზაქარიას ძე შუბლაძეს დაეძებს მისი უფროსი ძმა ვალიკო შუბლაძე. ისიც ომამდე ყოფილა სამხედრო სამსახურში გაწვეული და უკანასკნელი ბარათი ბრესტ-ლიტოვსკიდან ჰქონია მიღებული. გავიდა ხანი და უგზოუკვლოდ დაკარგვის ცნობა მიიღეს.

და რამდენი ასეთი წერილის მოყვანა შეიძლება სარედაქციო ფოსტიდან. მათი რიცხვი ხომ ათასობით არის. ომის ჭრილობები დღესაც მოუშუშებელია. მაგრამ მკითხველს ღრმად სწამთ, რომ გაზეთის დახმარებით შეუძლიათ რაიმე ახალი შეიტყონ დაღუპულთა შესახებ.

განა ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული წერილით „იქნებ თქვენია?“, სადაც მახაჩყალის საძმო საფლავზე დაკრძალულთა გვარები იყო მითითებული, არ შეიტყვეს შინმოუსვლელთა ახლობლებმა დაღუპულთა უკანასკნელი ადგილ-სამყოფელი? ყვარლის რაიონობა და ქვეყანას კარგი შვილები აღუზარდეს. აი, რას გვწერს რუსთავიდან პედაგოგი ლამარა გოგრიჭიანი-ჯაფარიძე:

„ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝᲛ რედაქციავ, გული მტკივა, რომ მამაჩემი უგზოუკვლოდ დაკარგულთა სიაშია და არ ვიცი, რა შეემთხვა. ღრმად მწამს, რომ მამაჩემი ᲛᲘᲜᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲫᲔ ᲒᲝᲒᲠᲘᲭᲘᲐᲜᲘ, რაკის სამთო მეტალურგიული კომბინატის ელსადგურის ინჟინერი, კომუნისტური პარტიის წევრი 1935 წლიდან, მოწინავე მეშვაკი, არ შეიძლებოდა, რომ ბრძოლაშიც სამაგალითო არ ყოფილიყო. უკანასკნელი მისი წერილი 1942 წლის 24 დეკემბრით არის დათარიღებული. იგი დედას წერდა: ნუ დაივიწყებ ჩემს თხოვნას, შემინახე ოჯახი, ჩემი საყვარელი ბავშვები, მათი სევდა გულს მიკლავსო. მამაჩემს ეს თხოვნა ჩემმა საყვარელმა დედამ ოლია გოგრიჭიანმა ზედმიწევნით კარგად შეუსრულა. ახალგაზრდა, 21 წლის ქალს სამი მცირეწლოვანი შვილი დავრჩით გასაზრდელად. იგი არ თაკილობდა არავით

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ჯარისკაცის მამის სკულპტურული მონუმენტი ქალაქ გურჯაანში (ავტორი — მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი).
თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ჩემპიონატის მეცხრე ტურის მატჩი თბილისის „დინამოსა“ და „დნეპრის“ ფეხბურთელთა შორის ის-ის იყო დაიწყო და ჯიხურიდან, საიდანაც თვალს ვადევნებდით ამ შეხვედრას, ტელეფონით დავუკავშირდით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ნიურნბერგს. ტელეფონის ხაზთან მოვიდა ამ ქვეყნის საფეხბურთო ჟურნალ „კიკერის“ მთავარი რედაქტორი კარლ-ჰაინც ხაიმანი. ჩვენი თანამოსაუბრე კარგად ფლობს რუსულ ენას. იგი არაერთხელ ყოფილა საბჭოთა კავშირში, 1979 წელს თბილისში დაესწრო ჩვენი ქვეყნისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები გუნდების შეხვედრას, ესწრებოდა მოსკოვის ოლიმპიადაზე საფეხბურთო ტურნირის მატჩებს... ხაიმანი კარგად იცნობს საბჭოთა ფეხბურთის ოსტატებს, მისი ძველი გვარიდის წარმომადგენლებს ჩოხელსა და მეტრეველს, რომლებთანაც გულითადი მეგობრობა აკავშირებს. მას არაერთხელ დაუსტამბავს თავის ჟურნალში საქები წერილები ჩვენს ფეხბურთელებზე... ტელეფონით საუბრისას ხაიმანმა გვითხრა:

—ევროპული სათასო ტურნირების თითქმის ყველა ფინალურ მატჩს დავსწრებივარ და, ცხადია, ახლაც არ გამოვტოვებ. მით უმეტეს, რომ წლეულს თბილისის „დინამომაც“ და იენის „კარლ ცაისმაც“ თავიანთი თამაშით ევროპის საფეხბურთო წრეების დიდი ყურადღება მიიპყრეს. ამიტომაც ამ გუნდების შეხვედრისადმი ინტერესი დიდია. როგორც გავიგე, თქვენი „დინამოელები დიუსელდორფიდან 25 კილომეტრით დაშორებულ პატარა ქალაქ მეცმანში დაბინავდებიან. ჩვენი ჟურნალი ამ მატჩის ფართოდ გაშუქებას აპირებს...

ნიურნბერგელ აბონენტთან საუბარი სწორედ მაშინ დავამთავრეთ, როცა „დნეპრთან“ მატჩის მეთხუთმეტე წუთი დაიწყო. სწორედ იმ წუთს თბილისელთა მიერ მატჩის დაწყებადანვე ჩაუმქრალი შტურმი სულაქველიძემ კარის აღებით დაამთავრა. რაღაც 7 წუთში დარასელიამ საკმაოდ შორი მანძილიდან „ცუცუტაკა“ ბურთი გაგზავნა კარისაკენ და ანგარში 2:0-მდე გაზარდა. პირველი და მეორე გოლიც ცალმხრივ ლამაზი ტაქტიური თამაშის შედეგი იყო. დათა, მაგრამ მატჩის 39-ე წუთს ყიფიანის მიერ გატანილი ბურთი გამორჩევით ლამაზი და საოცარი იყო. დღედღეზე ველოდით ყიფიანის მესამე გოლსა და გ. ფედორტოვის ასისთანა კლუბში მის დამკვიდრებას. ესეც აღსრულდა, თანაც ისეთი სინატიფით, ისე დიდებულად და მახვილგონივრულად გაიტანა ეს გოლი დავითმა, რომ ალბათ თვით პელეც არ იტყოდა უარს მის ავტორობაზე.

ამას გუშინდელ მატჩში ყიფიანმა ერთიც დაუმატა: შეხვედრის 54-ე წუთზე, როცა სტუმრებმა კართან სახიფათოდ შეჭრილი შეგველია მოცელეს, იუბილარმა 11-მეტრიანი საჯარიმოდან მეორე ასეულის პირველი ბურთიც გაიტანა. ამრიგად, მან თავისი 101-ე გოლით „დნეპრთან“ „დინამოს“ დიდი ანგარიშით გამარჯვება (4:0) დაადგინოგვინა. უნდა ვივარაუდოთ, რომ თამაშის გუშინდელ სილაღესა და სიმსუბუქეს დინამოელები დიუსელდორფში გაცილებით ძლიერ და ძნელ მეტოქესთან — „კარლ ცაისთანაც“ გამოამჟღავნებენ. მათი მთავარი მიზანი ხომ სწორედ ეს არის. წინ, მხოლოდ წინ, უკან დასახევის გზა მარტოდენ წინსვლით უნდა ჩავრაზოთ.

ფსიქოლოგებს აქვთ ტერმინი და ცნება „ქვეცნობიერი“, რომელიც ადამიანის გონივრულ, შეგნებულ მოქმედებას ბორკავს. იქნებ ამას გულისხმობდა ჩემს გვერდით მჯდომმა ერთმა გულშემატკივარმა გუშინ. რომ მითხრა: „ნეტავ „დინამოს“ ასე მსუბუქად და ასე ლამაზად არ მოეგო „დნეპრისათვის“. მეშინია „კარლ ცაისსაც“ ასე იოლად არ მოეკიდონ და გუნდი მისი არსებობის ისტორიაში ყველაზე საპასუხისმგებლო მატჩის წინ ფსიქოლოგიურად განიარაღებული არ აღმოჩნდესო.

„დინამომ“ ასეთი შემადგენლობით: ითამაშა: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხიზანიშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე (კაკლაშვილი), სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი (ქვანია), შენგელია.

და ბოლოს, გუშინ დინამოელთა მატჩს ესწრებოდა „კარლ ცაისის“ მწვრთნელი ჰანს მაიერი, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა დინამოელთა ოსტატობას და განაცხადა, რომ იგი მრისხანე მეტოქე იქნება მისი გუნდისა. ამ დღეს „კარლ ცაისმა“ კარლ-მარქს შტადტში გაამართა ქვეყნის ჩემპიონატო შეხვედრა ადგილობრივ გუნდთან, რომელსაც დინამოელთა უფროსი მწვრთნელი ნოდარ ახალკაცი დაესწრო. მისი აზრი იენელ ფეხბურთელთა შესახებ ცხადია, ჯერ არ ვიცით, მაგრამ ამას დიუსელდორფში გავიგებთ და იქიდან ვაცნობებთ ჩვენს მკითხველებს.

თბილისელი ფეხბურთელები 11 მაისს მოსკოვიდან დიუსელდორფს გაემგზავრებიან.

43.000 მაყურებელმა ოვაციით და იმედით გააცილა გუშინ თავისი გუნდი.

Ჯ. ᲔᲜᲣᲥᲘᲫᲔ.

1. ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲨᲘ

ᲛᲤᲔᲠᲚᲘᲡ ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲣᲠᲘ ᲓᲦᲘᲣᲠᲘᲓᲐᲜ

ᲩᲕᲔᲜ ᲣᲙᲕᲔ ᲕᲬᲔᲠᲓᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲠᲝᲢᲔᲠᲓᲐᲛᲨᲘ „ᲤᲐᲘᲔᲜᲣᲠᲠᲓᲗᲐᲜ“ ᲛᲐᲢᲩᲖᲔ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ“ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲐᲮᲚᲓᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲭᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲤᲐᲜᲐᲯᲘᲙᲘᲫᲔ. ᲓᲐ ᲐᲝ, ᲘᲒᲘ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ ᲜᲐᲜᲐᲠ-ᲒᲐᲜᲪᲓᲔᲚᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ.

✦✦

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ კი შერემეტიევოს აეროპორტიდან კუოსი ამსტერდამისაკენ ავიღეთ, იმავე წუთში ხელში უბის წიგნაკი და საწერ-კალამი მოვიმარჯვე. ლაინერის გუგუნს ხელი არ შეუშლია, საუბარი გულწრფელი და უშუალო გამოგვივიდა. დრო საკმაოდ ბევრი გვქონდა — სამი საათი. დავით ყიფიანი კარგ გუნებაზე იყო. ეს ჩემთვის, როგორც თბილისის „დინამოს“ გულშემატკივრისათვის, ძალიან ბევრს ნიშნავდა. თუმცა, გულახდილად რომ ვთქვა, წინასწარვე მტკიცედ ვიყავი დარწმუნებული, რომ ფინალამდე მხოლოდ 90 წუთი გვრჩებოდა.

გთავაზობთ ამ დიალოგს:

— დავით, ჩემი უფროსი შვილი იენის უნივერსიტეტში სწავლობს. იმ იენისა, რომლის „კარლ ცაისს“ ახლა ფინალში გასვლის გაცილებით მეტი შანსი აქვს, ვიდრე სახელგათქმულ „ბეხფიკას“ ჰოლანდიაში წამოსვლის წინ შვილს ტელეფონით ველაპარაკე. მან მითხრა, რომ თქვენი თამაში „ფაიენოორდთან“ სამჯერ გადაუცია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ერთხელ პირდაპირი ტრახსლაცია ყოფილა, მეორედ — სპორტულ გადაცემაში უჩვენებიათ მთლიანი ვიდეოჩანაწერი, ძალამდე კი მატჩი გადმოუცია არგენტინელთა მწვრთნელის მენტის კომენტარით. მე შვილს ვთხოვე, ხუსტად ეკარნახა მენტის სიტყვები. აი, ეს სიტყვებიც: „ახლა „კარლ ცაისს“ გაცილებით მეტი შანსი აქვს გავიდეს ფინალში, ვიდრე „ბეხფიკას“, რადგან 2:0-ით წაგებული მატჩი ბევრს ნიშნავს. ხოლო ფინალს მოიგებს ეფროპის უძლიერესი გუნდი „დინამო“.

როგორც ხედავთ, მენტის არამცთუ თქვენი ფინალში გასვლა არ ეეჭვება, თბილისელთა საბოლოო გამარჯვებაშიც დარწმუნებულია.

— მენტი იშვიათად ცდება. ღმერთმა ქნას, არც ახლა შეცდეთ.

— გერმანულმა სპორტულმა გაზეთმა „დი ხოიე ფუსბალვოხემ“ გამოაქვეყნა წერილი სათაურით „ქართულ ღვეხოსავით დადუღებული“. ძალზე საინტერესოა სტატიის ქვესათაურიც: „ფაიენოორდთან“ 3:0 გამარჯვებამ „ლევიპულთან“ 3:0 მოგებული მატჩი დაგვავიწყა“.

სტატიაში მოკლედ არის მიმოხილული ევროპულ ტურნირებზე თბილისის „დინამოს“ თამაშის ისტორია, აღნიშნავენ თბილისელთა დღევანდელ წარმატებას და დაასკვიანან: „ფაიენოორდთან“ თბილისელთა თამაში ისეთი იყო დადუღებული, როგორც შმეგენერი ქართული ღვეხო“. სტატია მთავრდება ჰოლანდიელთა მწვრთნელის ვ. ეეფეკის სიტყვებით, სადაც იგი ძალზე მაღალ შეფასებას აძლევს თქვენს თამაშს. კერძოდ, იგი ამბობს: „3:0-ის შედეგ თითქმის ვერ ვხედავ ფინალში გასვლის შანსს. დღეს ჩვენ არ გვყავს ისეთი რეფისორი, როგორიც დავით ყიფიანია“.

— როტერდამში ძნელი თამაში მოგგელია. ვაითუ მატჩის რეფისორისათვის ვერ მოვიცალო.

— თბილისის „დინამომ“ ახალკაცის ხელმძღვანელობით დიდ წარმატებებს მიაღწია. ამ წარმატებებს ახლა არ ჩამოვთვლი ერთი უბრალო მიზეზის გამო — ისინი ყველა ფეხბურთის გულშემატკივარმა ზეპირად იცის. რა აზრისა ხართ ახალკაცზე, როგორც მწვრთნელზე და როგორც ადამიანზე?

— ნოდარ ახალკაცში ორი რამ არის შერწყმული: დიდი პროფესიონალიზმი და თავისი საქმის ფანატიკური სიყვარული. იგი ყველას — უფროსებსაც და, მით უმეტეს, უმცროსებსაც აძლევს თავდადების, საქმისადმი სერიოზული, პატიოსანი მიდგომის მაგალითს.

— ხშირად გაიგონებთ, კარგი მწვრთნელი მეორე ტაიმს იგებსო. ამის თაობაზე ჩვენთან საუბარში ერთხელ გიგა ნორაკიძემ თქვა: „ტაიმსა და ტაიმს შუა მწვრთნელს სალაპარაკოდ რჩება ხუთი წუთი. სასაცილოა ვიწამო მწვრთნელის ჯადოსნური ძალა, ამ ხუთწუთიანი საუბრით მოიგოს მეორე ტაიმი. რასაკვირველია, ფეხბურთელის გონივრული შეცვლით ან დარიგებით მწვრთნელს შეუძლია შეიტანოს თამაშში მცირეოდენი კორექტივი, მაგრამ შესვენებაზე გუნდისათვის მიცემული ყოველგვარი ახსნა-განმარტება თუ იგი საწვრთნელი და თეორიული ვარჯიშის დროს არ არის განაალიზებული და ათვისებული, ფეხბურთელისათვის მაინც „ჩინურად“ დარჩება“.

თქვენ რა აზრის ბრძანდებით ამის თაობაზე?

— გიგა ნორაკიძე სანახევროდ მართალია, მაგრამ აკი თვითონვე ამბობს, მწვრთნელს ფეხბურთელის გონივრული შეცვლით ან დარიგებით თამაშში მცირეოდენი კორექტივის შეტანა მაინც შეუძლიაო. მე უამრავ მაგალითს მოვიყვანდი, როცა თამაშის პირველი ტაიმის გონივრულმა გარჩევამ და ფეხბურთელთა ასეგვ გონივრულმა შეცვლამ ბევრჯერ უზრუნველყო გამარჯვება. პირიქითაც ხშირად ყოფილა. რასაკვირველია, თუ ფეხბურთელი როგორც პრაქტიკულად, ასევე თეორიულად გარკვეული დროის მანძილზე კარგად არ არის მომზადებული, მხოლოდ ინტუიციით ვერ აუღებს ასეთი ღირებულებითი გამოხატულება არ მოჰყვება და ამიტომ შეცდომასაც იოლად აპატიებენ ხოლმე.

— თამაზ კოსტავას მე ჯერ კიდევ ქუთაისის „ტორპედოდან“ ვიცნობ. როცა „განთიადს“ ვრედაქტორობდი, ზაფხულში ბიჭებთან ერთად ვცხოვრობდი „ტორპედოს“ ბაზაში. იქვე გავიცანი სულაქველიძე, შენგელია, გაბელია, სვანაძე და სხვანი. მათი ჯერიც დადგება, ახლა კვლავ კოსტავას მივუბრუნდეთ. მე ძალზე მჯერდა მისი დიდი მომავლისა. ვფიქრობ, სერიოზულმა ტრავმებმა მისი თამაშის კლასს გარკვეული ვნება მოუტანა.

— თამაზ კოსტავა, რასაკვირველია, გაიწვალა ტრავმებმა, მაგრამ ახლა იგი ძალზე კარგად თამაშობს, საბჭოთა კავშირში ერთერთი უძლიერესი მცველია. საქმეცია და მაინცაა, რომ მის გელი არ გაუტეხია, პირიქით, სწორი რეჟიმი შეადგინა და ნამდვილ პროფესიონალიზმს მიაღწია.

— თამაზ კოსტავას შესანიშნავი გასვლები აქვს ფლანგიდან, მაგრამ ბოლო სტადიაში მის ჩაწოდებებს სიმეცვავე აკლია ხოლმე, — რის გამოც კოსტავას ჩაწოდება ძალზე იმვიათად დაგვირგვინებულა გოლით.

— მართალი ხართ, ბოლო მოჭიქნში იგი სიმშვავეს კარგავს, მაგრამ მაინც დიდ საქმეს აკეთებს. თავისი გასვლით იგი მოედანზე არღვევს გარკვეულ წონასწორობებს, დეზორგანიზაციი შეაქვს მოწინააღმდეგის ჯიგებში, თან ზრდის თავდამსხმელთა რიცხვს. ალბათ, მალე ბოლო სტადიაშიც უფარო მწვავე გახდება მისი მოქმედება.

— ბევრი ძლიერი ფეხბურთელი მინახავს, რომლებიც ვერ დაიკვეხნიან თამაშის სილამაზით. ვფიქრობ, ეს ერთგვარი ნაკლია ფეხბურთელისა. ალექსანდრე ჩივაძე, ამ მხრივაც გამოირჩევა. მისი თამაშის მანერა არისტოკრატულია. დახვეწილი პლასტიკა და მოძრაობის სილაღე — აი, რა ახასიათებს ამ ძლიერ ფეხბურთელს.

— კონსტანტინე ბესკოვმა სამართლიანად თქვა ჩივაძეზე—არგენტინელთა ნაკრების კაპიტან პასარელას არ ჩამოუგარდებიო. მე პირადად ამყამად უკეთეს მცველს არ ვიცნობ.

— იენაში ყოფნისას რამდენჯერმე ვუყურე „კარლ ცაისის“ თამაშს. მათი უმთავრესი იარაღია (ფიზიკურ ძალასთან ერთად) მაღალი ბურთის ჩაწოდება საჯარიმო მოედანზე და თავით თამაში. ვფიქრობ, ხინჩაგაშვილი და ჩივაძე სერიოზულ ძალას წარმოადგენენ ასეთ გუნდთან შეხვედრის დროს.

— მართალი ბრძანდებით, შოთა ნამდვილი ბებერი ლომია. როცა იგი მოედანზეა, გაცილებით იმედიანად ვარ ხოლმე. ეტყობა, წლების მანძილზე ერთად ჩატარებულმა მატჩებმა ძალზე შეგვაჩვია ერთმანეთს (ეხლა უკვე ვიცით, რომ, სამწუხაროდ, ხინჩაგაშვილი „კარლ ცაისთან“ ვერ ითამაშებს).

— ნოდარ ხიზანიშვილზე რას იტყვით?

— იგი ძალზე თავდადებული და ფიზიკურად ძლიერი ფეხბურთელია. კარგად თამამობს თავით.

— გია თავაძე?

— თავგანწირული თამაში იცის. აქვს კარგი დარტყმები. უპრეტენზიოდ თამაშობს, აქვს ნაკლიც, რომლის გამოსწორება, რასაკვირველია, შეიძლება. შეტევისა და წინ წასვლის შემდეგ უკან ნელა ბრუნდება. ამის უფლება კი დღევანდელ ფეხბურთში არა აქვს მაღალი კლასის სპორტსმენს. სასახარულოა, რომ ამ ბოლო დროს მისი გამოსვლების ხარისხი სტაბილურია.

— მახსოვს, როცა შარშან ზაურ სვანაძე თბილისის „დინამოში“ გადმოჰყავდათ, პირადად მე გავლაშქრე ამის წინააღმდეგ და სათანადო ორგანოებშიც განვაცხადე ჩემი აზრი. დარწმუნებული ვიყავი და ახლაც მჯერა, რომ იგი მარშან ფიზიკურად არ იყო მზად თბილისის „დინამოში“ თამაშისათვის. წელს, ვფიქრობ, იგი მშვენივრად შეეწყო კოლექტივს.

— დროდადრო წელსაც ვატყობთ ხოლმე გადაღლას. არაფერია, იგი მალე შეეგუება ახალ დატვირთვას. ძალზე კარგი ფეხბურთელია, მაგრამ უფრო თამამად უნდა იმოქმედოს. დროა მიხვდეს, რომ სტუმარი აღარ არის თბილისს „დინამოში“. ხშირად თვითონაც უნდა გაუძღვეს თამაშს. ზაურს ამის სათანადო მონაცემები აქვს.

— ვიტალი დარასელიამ უკვე კარგი ხანია მოიხვეჭა ძლიერი ფეხბურთელის სახელი.

— ვიტალი მრავალმხრივი ფეხბურთელია. აქვს ტექნიკური დარტყმები, კარგად გადის ცრუ მოძრაობით და შმეგენერად ერკვევა მოედანზე შექმნილ სიტუაციებში. როდესაც ვიტალი არ თამაშობს, მაშინ უფრო ვგრძნობთ ხოლმე, რამოდენა სამუშაოს ასრულებს იგი მოედანზე.

— თენგიზ სულაქველიძე ქუთაისის „ტორპედოში“ ცენტრალური მცველის ფუნქციებს ასრულებდა. ჩემი აზრით, ნოდარ ახალკაცისათვის ალღოს არ უმტყუნია, როცა იგი ნახევარმცველად დააყენა. თბილისის „დინამოს“ თითქმის ყოველთვის აკლდა ფიზიკურად ძლიერი და სწრაფი ფეხბურთელები, ისეთები, როგორიც სულაქველიძეა.

— გეთანხმებით. თენგიზ სულაქველიძე გერმანული ტიპის ფეხბურთელია, თამამობს სადად და ლამაზად. მისი ყოველი მოძრაობა მლაგრია და გამიზნული. მთავარი კი ის არის, რომ სულაქველიძე, როგორც ფეხბურთელი, ჯერ კიდევ იზრდება, ხოლო მისი თამაშის მანერა სულ უფრო იხვეწება.

— ჯერი თავდასხმაზე მიდგა, ვლადიმერ გუცაევზე, რას გვეტყვით?

— უზარმაზარი მონაცემების მქონე ფეხბურთელია. გუნდისათვის დიდი ძალაა, მაგრამ მას ძალზე უხეშად ეთამაშებიან. ერთი კია, შეტევის დროს ნაკლებად უნდა ფიქრობდეს „ჰომცელავენო“, თორემ იგი კარგავს ძვირფას წამებს და შეტევასაც აკლდება სიმშვავე. მეორე მხრივ, მოდი და ნუ იფიქრებ, როცა ფიხებში ასე უხეშად გვირტყამენ.

— ჩემი აზრით, ამ ბოლო დროს რამაზ შენგელიას ძალზე მოუმატა თამაშს...

— რამაზ შენგელიაზე ძალზე მაღალი აზრისა ვარ. აქვს შესანიშნავი ინტუიცია. რომ იცოდეთ, როგორ მიგებს ხოლმე, რას ვაპირებ!

— დავით, ბოდიშს მოგიხდით, ერთი წუთით შეგაწყვეტინებთ. ერთხელ რამაზს ვუთხარი, როგორც კი ყიფიანი ბურთს მიიღებს, შენ იმავე წუთში გაიხსენი, დათოსკენ ნურც გიხედავ, მხოლოდ პოზიცია შეარჩიე, ბურთი კი აუცილებლად შენთან აღმოჩნდება-მეთქი.

— გახსნაც არის და გახსნაც. მთავარია, რამდენად აქტიური პოზიციას ამორჩევენ. რამაზს ეს არ ეშლება. მე მჯერა, რომ იგი კიდევ მოუმატებს თამაშს. ახლა ასე მიზანდასახული ცენტრალური თავდამსხმელი საბჭოთა ფეხბურთში არ მეგულება. როგორც კი საჯარიმო მოედანზე ბურთს მივიღებ ხოლმე, იმავე წუთში პარტნიორებს გავხედავ, იქნებ ვინმე უფრო ხელსაყრელ პოზიციაში დგას-მეთქი დასარტყმელად. რამაზი კი, როცა საჯარიმოზე ბურთს მიიღებს, მხოლოდ მოწინააღმდეგის კარს ხედავს, სხვას ვეღარავის ამჩნევს. ეს იქნებ ერთგვარი ნაკლია, მაგრამ მე, პირადად, მომწონს კარის აღების შენგელიასეული ყინი. ყოველი ბურთის გატანა მისთვის უზარმაზარი ბედნიერებაა.

— დავით, მე სავსებით გეთანხმებით რამაზ შენგელიას შეფასებაში. ვფიქრობ, მისი ნაკლია სუსტი ვირაჟი. უმრავლეს შემთხვევაში ბურთი მოწინააღმდეგის მცველს რჩება ხოლმე, როცა იგი ვირაჟით შედის შეტოქის საჯარიმო მოედანზე. მისი სისწრაფე ამ შეთხვევაში ვერ არის ისეთი, როგორიც უნდა იყოს.

— ვერ დაგეთანხმებით. შენგელიას ვირაჟი სისწრაფის თვალსაზრისით ნორმალური აქვს, მაგრამ ერთი კია, მოწინააღმდეგეს მხარს ვერ უდგამს და ბურთს ვერ ფარავს. ეს უფრო მისი ფიზიკური სისუსტის ბრალია, ვიდრე სისწრაფისა.

— ახლა ახალგაზრდებზე მიდგა ჯერი.

— ახალგაზრდებამდე კიდევ დაგვრჩა ერთი ფეხბურთელი — რევაზ ჩელებაძე. მართალია, დღეს იგი თვითმფრინავში არ არის, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. უკანასკნელ ორ წელიწადს ჩელებაძე დიდხანს ავადმყოფობდა, ამიტომაც ვერ გამოავლინა თავისი ძალა. ახლა გამოჯანსაღდა და ინტენსიურად ვარჯიშობს. მტკიცედ მჯერა, რევაზი იტყვის თავის სიტყვას! მან ბევრ მატჩში ძალზე ოსტატურად ითამაშა. ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება. ბოლოს კი დავსძენ, რომ მომდევნო თაობიდან, უწინარესად, უნდა დავასახელოთ კაკილაშვილი, ყვანია, ყორდანია და მინაშვილი. ამ უკანასკნელმა მენისკის ოპერაციის შემდეგ უკვე დაიწყო ვარჯიში.

— ვინაიდან დავით ყიფიანს გაუჭირდება დაახასიათოს დავით ყიფიანი, მე თვითონ ვიკისრებ ამ საქმეს.

— საინტერესოა!

— დავით ყიფიანი ერთმა ინგლისელმა ჟურნალისტმა ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობის“ გმირს შეადარა. ალბათ, ანდრეი ბოლკონსკის თუ გულისხმობდა. მე ფეხბურთელებს შევადარებ. ალბათ, იგი ყველაზე უფრო მაინც კრუიფს მოგვაგონებს. თანამედროვე ფეხბურთის ვარსკვლავისათვის ალარ კმარა, მარტო ეპიზოდებში გაიბრწყინოს. დღეს ფეხბურთელი ფასდება იმით, თუ მოედნის რამოდენა ტერიტორიაზე და რამდენი დროის მანძილზე ახდენს თამაშზე გავლენას. დავით ყიფიანი, როცა იგი საუკეთესო ფორმაშია, თამაშზე ზეგავლენას ახდენს მოედნის სამ მეოთხედზე თითქმის მთელი ორი ტაიმის განმავლობაში. კარგად ხმარობს ორივე ფეხს, კარგად თამაშობს თავით, აქვს ბრწყინვალე დრიბლინგი, სრულყოფილად ფლობს ბურთს და, რაც მთავარია, უბადლოდ ხედავს მოედანს, არის თამაშის კონსტრუქტორი. შეუდარებელია მისი, როგორც ახლო და საშუალო, ისე გრძელი პასი, შეუდარებელია არა მარტო სიზუსტით, არამედ გადაცემის დროულობით და პოზიციის ზუსტი შეფასებით. მოედნის საკუთარი ნახევრიდან ან ცენტრიდან მისი გრძელი გადაცემები ყოველთვის შეიცავს იდეას. ხომ არაფერი დავაკელით?

— პირიქით, მეტიც მოგვიდათ.

— გულშემატკივართაგან (კოტა როდი ამბობს, რომ შოთა იამანიძის ძლიერი იყო დღევანდელზე. არგუმენტებიც საკმაოდ ანგარიშგასაწევი მოაქვთ. ერთდროულად გუნდში თამამობდნენ ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც იყვნენ მესხი, მეტრეველი, ხუციელავა, იამანიძე, ბარქაია, კალოევი, კოტრიკაძე და სხვანი. მკითხველს, ალბათ, ძალზე დაინტერესებს, თქვენც იზიარებთ თუ არა ამ მოსაზრებას.

— გეთანხმებით. ვარსკვლავები, ალბათ, მაშინ უფრო მეტი იყო თბილისის „დინამოში“. დაჰკვირვებიხართ, ჩვენ სამჯერ გავედით ფინალში და თასი ორჯერ მოვიპოვეთ. მანამდე თბილისელები (ბუნებრივია, სხვადასხვა თაობის ფორმამდგენლები) ხუთჯერ გავიდნენ ფინალში, თასი კი ვერც ერთხელ ვერ მოიპოვეს. ეს, ჩემი ღრმა რწმენით, არასწორი რეჟიმისა და, თუ საწყენად არ დამიჩრჩება, ნაკლები პროფესიონალიზმის შედეგი იყო. გარდა ამისა, თბილისის „დინამო“ ახლა ძალზე მეგობრული, მონოლითური გუნდია, იქნებ ვცდები?

— თქვენი მოსაზრება საინტერესოა. ბარემ იქნებ მეორე შეკითხვაზეც მიპასუხოთ. ზოგიერთი გულშემატკივარი ამბობდა ამტკიცებს, დღეს ევროპაშიც და ჩვენშიც ფეხბურთის დონე დაეცაო. პირადად მე არ ვიზიარებ ამ მოსაზრებას. დღეს ფეხბურთის დონე, პირიქით, ყველგან ამაღლდა. ამის თვით ცხოვრების წინსვლა განაპირობებს. მაგრამ იქნებ მართლა იგრძნობა ვარსკვლავების ნაკლებობა?

— ვინც ამტკიცებს, ევროპაში ფეხბურთის დონე დაეცაო, იგი კარგად ვერ იცნობს ევროპულ გუნდებს. ზერელედ და ემოციებით ლაპარაკი, მეტი რომ არა ვთქვათ, არასერიოზულობაა. თქვენ მართალი ხართ, ფეხბურთის დონე ყველგან აიწია. ახლა თითქმის აღარ არიან სუსტი გუნდები. ვარსკვლავების ნაკლებობა იგრძნობაო. იქნებ სწორიც იყოს, არ ვდავობ. მაგრამ ვარსკვლავებს დიდი ტურნირები გამოაჩენს ხოლმე მთელი სიკაშაშით. განა არგენტინის ჩემპიონატზე არ გაიბრწყინა კემპესის, ლუკეს, ბერტონის, ბეტეგას, როსის, ტრეზორის, დიისეუს, არდილესის, რენსენბრინკისა და სხვათა სახელებმა? იქნებ მარადონაც და რუმენიგეც გაგვეხსენებინა? აი, გაისად ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება და, მერწმუნეთ, ბევრი ახალი ტალანტის აღმოჩენის მოწმენი გავხდებით.

— ჩემი მხრივ, ერთს დავემატებდი თქვენს სწორ მოსაზრებას. როცა ფეხბურთის დონე განუხრელად მაღლდება, კარგი ფეხბურთელების თამაშის დონეც თანდათან უახლოვდება ვარსკვლავებისას. ასე რომ ვარსკვლავები და კარგი ფეხბურთელები დღეს ნაკლებ ერთმანეთისაგან, როგორც ეს უწინ იყო. ჩემი მოსაზრების დასაბუთებულად ახლავე მოვიშველიებ პელეს ავტორიტეტს. არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ პელემ თქვა: თანამედროვე ფეხბურთში სათამაშო სივრცეები ისე საგრძნობლად შეიზღუდა, ახლა თამაში თვით გარინჩასა და ყაირზინიოსაც კი გაუჭირდებოდათო.

— დღევანდელ ფეხბურთში ძალზე გაიზარდა ფიზიკური დატვირთვა. სეზონისათვის მზადების პერიოდში ხუთ დღეში სამ დღეს ვვარჯიშობთ. თანაც დღეში ორ-ორჯერ საათნახევარ-საათნახევრის მანძილზე, ესე იგი სამ საათს. აქ მხოლოდ ფიზიკურ ვარჯიშს ვგულისხმობთ, თეორიული მეცადინეობები ცალკე ეწყობა. რაც მთავარია, ვარჯიში იმდენად ინტენსიური გახდა, რომ ახლა ერთი საათის ვარჯიში, ალბათ, რამდენიმე წლის წინანდელ ორსაათიან ვარჯიშს უდრის. დასკვნა თქვენ თვითონ გამოიტანეთ.

— რა აზრისა ხართ ტოტალურ ფეხბურთზე?

— მეამბა, რომ მომავალ ჩემპიონატში გაიმარჯვებენ არგენტინელები ან ბრაზილიელები. ვფიქრობ, ამ პასუხიდან ჩანს ჩემი დამოკიდებულება ტოტალური ფეხბურთისადმი. ოღონდ ერთს დავძენ: თუ ბრაზილიელებს სერიოზულად სურთ ესპანეთში გაიმარჯვონ, უფრო აგრესიული თავდამსხმელები უნდა მოძებნონ და მოწინააღმდეგესაც მეტი სიმშვავით უნდა შეუტიონ.

დიდი შანსი აქვს არგენტინასაც. მათ ჰყავთ კარგი მწვრთნელი, კარგი ფეხბურთელები. თანაც ისინი ესპანეთში თითქმის მშობლიურ გარემოში იქნებიან.

— დავით, ამ რამდენიმე წლის წინათ ფეხბურთის ერთ ცნობილ სპეციალისტს ასეთი შეკითხვა მივეცი: „რას იტყვით ქართულ ფეხბურთზე?“ მან მიპასუხა: „ტერმინი „ქართული ფეხბურთი“ ყოველთვის მაღიზიანებს. იგი ისე როდი გამოირჩევა სხვა ქვეყნის ფეხბურთისაგან, როგორც, ვთქვათ, ქართული ლიტერატურა, მუსიკა, მხატვრობა ან ქოროეოგრაფია“. გამოირჩევა სხვა ქვეყნების შესაბამისი დარგებისაგან. პირადად მე ფეხბურთს სამ ჯგუფად დავყოფდი: ანგლო-საქსური, სამხრეთევროპული და სამხრეთ-ამერიკული. და თუ მაინც ფეხბურთში ეს „ეროვნულობა“ არსებობს, იგი ძირითადად ფეხბურთელის თამაშის მანერით გამოიხატება. მაგრამ დღეს თანამედროვე ფეხბურთში არის ერთი დიდი „ინტერნაციონალური“ თვისება, რომელსაც ჰქვია თამაშის ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციის გარეშე შეუძლებელია კაცმა იოცნებოს მსოფლიო მნიშვნელობის მიღწევებზე“.

თქვენ რას იტყოდით ამის თაობაზე?

— საინტერესო აზრია. ის სპეციალისტი სიმართლესაც ამბობს და ბევრ რამეში ცდება კიდეც ჩემი აზრით, აკი თვითონვე აღიარებს, თუ ფეხბურთში „ეროვნულობა“ არსებობს, იგი ძირითადად თამაშის მანერით გამოიხატებაო?! „სწორედ თამაშის მანერით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სხვადასხვა ქვეყნის ფეხბურთელები. მანერა, ვფიქრობ, ფეხბურთელისათვის იგივეა, რაც მწერლისათვის სტილი. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფეხბურთი მარტო ფინტი, დრიბლინგი ან პასი როდია. ფეხბურთი ხასიათების, პიროვნებების ბრძოლაა. ხასიათები კი თავისი არსით ეროვნულია. თუ დაჰკვირვებიხართ, ჩვენ არ შეგვიძლია დროის გაყვანა? ასე რომ, ფეხბურთს ძირითად „ინტერნაციონალურ“ თვისებებთან ერთად (არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი მაინც იმპორტულია), ეროვნული ნიშნებიც საკმაოდ აქვს.

— მახსოვს, როცა „განთიადში“ ვმუშაობდი, ერთმა ჟურნალისტმა ფეხბურთზე სტატია მომტანა. მე სრულიად მარტივი შეკითხვა მივეცი: იქნებ მითხრათ, თბილისს „დინამოში“ რომელი ფეხბურთელი თამაშობს მარჯვენა ფეხით და რომელი მარცხენაი-მეთქი. ვერ მიპასუხა. თანაც თითოეული თქვენგანის თამაში სულ ცოტა ოცდაათჯერ მაინც ჰქონდა ნახული. ასეთი შეკითხვა იმტომ დამებადა,